პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 13 აგვისტო, 1944 წ. № 164 (7107). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

სამხედრო მოსავალი ზუსტად აღვრიცხოთ და საიმედოდ დავიცვათ („პრავდის“ მოწინავე. 1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 12 აგვისტოს ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).
ქალაქ სანდომირის დასავლეთით (1-ლი გვერდი).
მოსკოვის ამბები. (მე-2 გვერდი).
ლეო ქიაჩელი — კირილე გორიაკოვი. (მე-2 გვერდი).
ი. ვიქტოროვი — საერთაშორისო მიმოხილვა. (მე-2 გვერდი).
ნინო ილოშვილი — სტალინური შევარდენები. (მე-3 გვერდი).
ალ. ჭეიშვილი — ფუძე და ვენახი (მე-3 გვერდი).
პატარა ფელეტონი — დეფიციტური საქონელი. (მე-3 გვერდი).
მირცა კალანდაძე — ბანაკი ტაშისკართან. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

სამხედრო მოსავალი ზუსტად აღვრიცხოთ და საიმედოდ დავიცვათ

მოსავლის აღება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მკის შემდეგ ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გაჩაღდა. და პირველმავე განაღეწმა ყველგან დაადასტურა, რომ სწორია პურის უზი მოსავლის ვარაუდი. მოსავალი ისეთია, რომ საშუალებას იძლევა სავსებით შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები, შევინახოთ სათესლე ფონდები და ღირსეულად ავუნაზღაუროთ შრომა ყოველ კოლმეურნეს.

ბაგრამ ხალხური სიბრძნე ამბობს: „მოსავალი მაშინ დაიკვნეს, როცა ბეღელში შეინახოო“. საბოლოო ანგარიშით საკოლმეურნეო მოსავლის შესახებ იმის მიხედვით კი არა მსჯელობენ, თუ რა არის მოყვანილი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა არის აღებული და შენახული სახელმწიფო და საკოლმეურნეო ბეღლებში. ვერაფერი სასახელო იქნება, რომ მოსავალი მოვიყვანოთ, მაგრამ დაკარგოთ. შეინარჩუნონ თვითეული თავთავი,—იგი რით სულდგმულობენ ამკამად მიწიაზე მშრომელნი. ისინი მთელ თავიანთ ძალებს უმორჩილებენ ერთ ამოცანას—რაც შეიძლება სწრაფად აიღონ მოსავალი, აიღონ ისე, რომ ერთი მარცვალიც არ დაიკარგოს.

მოსავლის დანაკარგთან ბრძოლის ღონისძიებანი არასოდეს ისეთი პატივისცემით არ სარგებლობდნენ, როგორითაც წელს. დიდი თუ პატარა ამას ადევნებს თვალყურს, რომ არ დაუშვან ამას ადგილზე პურის ჩაცვივნა, არ დაუშვან მარცვლეულის დაკარგვა და გაფუჭება მკის დროს, ძნებში, ბულულებში, ზვინებში და კალოზე.

მოსავლისადმი გულმოდგინედ მოპყრობაზე საუკეთესოდ მყოვანდება საკოლმეურნეო სოფლის ზრუნვა სახელმწიფოს, ინტერესებისათვის, ფრონტის საჭიროებისათვის. და ამჟამად პარტიული, საბჭოთა და კომკავშრული ორგანიზაციებისათვის სოფლად არ მოიპოვება იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ის, რომ დაეხმარონ კოლმეურნეებს მოსავლია აღებაში, დაიცვან მოსავალი დანაკარგისაგან, დანიშნულებისამებრ გამოიყენონ იგი. დანაკარგს ყოველი გზა უნდა დავუხშოთ—ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყანა, ამას მოითხოვს ფრონტი. და აქ ისეთ ღონისძიებებთან ერთად, როგორიც არის თავის დროზე მკა, ძნად შეკვრა, დაბულულება და დაზვინვა, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლის აღრიცხვასა და დაცვას.

სსრ კავშირის საჯარო საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში 1944 წელს მოსავლის აღებისა და საოსფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ მოითხოვეს, რომ მოეწყოს მოსავლის უსასტიკესი დაცვა და ზუსტი აღრიცხვა მოსავლის აღების ყველა სტადიაში. მთავრობამ და პარტიამ დააწესეს იმ საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებათა სავალდებულო სისტემა, რომელთა მტკიცე დაცვა შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცდინოთ პურის დანაკარგი და განიავება.

მთავრობისა და პარტიის მითითებებმა მზურვალე მოწონება ჰპოვეს ჩვენს სოფელში. ამ მითითებების შესრულებისათვის ბრძოლა კოლმეურნეთა ფართო მასების საქმედ იქცა. მილიონობით ადამიანი განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს, რომ ყოველი კილოგრამი პური აუცილებლად აღრიცხულ და დაცულ იქნას. მაგალითად, გორის ოლქის ჩკალოვის რაიონის 8 პარტის სახელობის კოლმეურნეობაში პურს აღრიცხავენ და იცავენ არა მარტო გამგეობის მიერ სპეციალურად სამისოდ გამოყოფილნი პირნი. აქ პურის დასაცავად გამოვიდა ყველა კომკავშრელი და ახალგაზრდა კოლმეურნე. მათი გუშაგები არა სტოვებენ მინდორს არც ღღისით და არც ღამით. მაგრამ პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა ყველგან რიდი გამოიტანეს საჭირო დასკვნები მთავრობისა და პარტიის მითითებებიდან პურის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ. ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია იმის ფაქტი, რომ დაუდევრად ეკიდებიან მოსავალს, მის დაცვას მინდვრად და კალოზე, მის აღრიცხვას ლეწვისა და გადაზიდვის დროს. ამით იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ საკოლმეურნეო მოსავალში ყველა ურევდეს ხელს, იქმნება პირობები პურის განიავებისა და დატაცებისათვის.

როსტოვის ოლქის ალექსანდროვის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ შუა ივლისს აიღეს 27 ჰექტარი ქერი. რამდენიმე დღის განმავლობაში მარცვალი კალოზე ეყარა გაუწმენდავი. მაგრამ მაშინაც კი, როცა მარცვალი გასწმინდეს, არც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, არც ბრიგადირს, არც მეწყობას თავი არ შეუწუხებიათ იმისათვის, რომ აეწონათ იგი. თუ ამას დავძენთ, რომ კოლმეურნეობაში ცუდად არის დაყენებული მოსავლის დაცვა, ცხადი გახდება, რომ აქ ყველას შეუძლია ხელი ურიოს მოსავალში, ვინაც კი მოინდომებს.

ტამბოვის ოლქის ლისოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პერეკოპში“ მოსავლის დატაცება მაშინ დაიწყო, როცა პური ჯერ კიდევ მოუმკელი იყო. ამავე რაიონის კოლმეურნეობა „ტიხი უგოლის“ ხელმძღვანელები, რომელთაც არ უზრუნიათ მოსავლის დაცვისათვის, დიდად გაჯერებული დარჩნენ, როცა პურის დიდი დანაკლისი აღმოაჩინეს. პურის აღრიცხვისა და დაცვისადმი დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტებია შესახებ ატყობინებენან ზოგიერთი სხვა რაიონიდანაც.

საკოლმეურნეო მოსავალი სოციალისტური საკუთრებაა. ყველა, ვინც მას ხელჰყოფს, შავბნელ საქმეს აკეთებს, ზარალს აყენებს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს. საკოლმეურნეო მოსავლის დამტაცებლებს მიმართ შეუძლებელია რაიმე ლმობიერება. ისინი საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

მაგრამ მოსავლის დატაცების ფაქტები მარტო იმას ვრცელდებენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ მოსპობილან სხვისი დოვლათის მოყვარულნი. ეს ფაქტები იმასაც მოწმობენ, რომ ზოგიერთი ჩვენი ადგილობრივი მუშაკი დანაშაულებრივ დაუდევრობას იჩენს მოსავლის აღრიცხვისა და დაცვის მოწყობაში. როგორც ეტყობა, მათ ვერაფერი ასწავლა წარსული წლების გამოცდილებამ, როცა მოსავლისადმი დაუდევარი მოპყრობის გამო ზოგიერთ კოლმეურნეობას აკლდებოდა პურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა და ფრონტი თვითეული კილოგრამი პურის სრულ ანგარიშს მოგვთხოვენ, გვახსოვდეს ეს და საოანადო ღონისძიებანი ვიხმაროთ, რათა მოვიყოთ მოსავლის ზუსტი აღრიცხვა და საიმედო დაცვა. ეს ღონისძიებანი კი ცხადი და საყოველთაოდ მისაწვდომია. მინდვრებში მუდამ უნდა იყვნენ შეველები, კალოებზე კი დარაჯები, მათ მუშაობას სასტიკი კონტროლი უნდა ეწეოდეს. დაუსჯელი არ უნდა დარჩეს პურის განიავება-დატაცების არც ერთი შემთხვევა.

ბოლომდე უნდა აღმოიფხვრას აღრიცხვის უყურადღებოდ მიტოვების ფაქტები. პური გულმოდგინედ უნდა აიწონოს სალეწ მანქანებთანაც, კომბაინებთანაც, ბეღლებში მიღების დროსაც. კალოებიდან ბეღლებსა და შესანახ პუნქტებში გაგზავნილ პურს აუცილებლად თან უნდა გავაყოლოთ ზედნადები, რომელშიც აღნიშნული იქნება გადამზიდველის გვარი და პურის ზუსტი რაოდენობა. უღარეულად დიდი ყურადღება მშონავთა, მეკუჭნავეთა, დარაჯთა და გადამზიდველთა შერჩევას! ეს დიდმნიშვნელოვანი პოსტები შეუძლიათ დაიკავონ მხოლოდ საუკეთესო ადამიანებმა, რომელნიც ყველა კოლმეურნის ნდობით არიან აღჭურვილნი.

პურის აღრიცხვა და დაცვა ყველა კოლმეურნის სოფლის კომუნისტისა და კომკავშირელის პარტიული და საბჭოთა მუშაკის საქმეა. მეწის თვითეული მშრომელი, სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკი საკოლმეურნეო მოსავლის დაუღალავი დარაჯი უნდა იყოს.

სამხედრო მოსავალი ზუსტად აღვრიცხოთ და საიმედოდ დავიცვათ!

„პრავდის“ 1ე აგვისტოს მოწინავე

საკლესიო უარჯყოფს

1 უცხოეთის პრესაში და, კერძოდ, ლონდონის გაზეთებში „ნიუს ქრონიკლსა“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტში“ გამოქვეყნდა ცნობები, რომელთა თანახმად თითქოს სსრ კავშირის მთავრობამ ვატიკანს მიმართა წინადადებათ იმისშემდგომი სოციალური და რელიგიური პრობლემების გადაწყვეტისას მოქმედების კოორდინაციის შესახებ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ყველა ეს ცნობა საფუძველს მოკლებულია.

2. უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომლებიც ემყარება პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის გაზეთებსა და რადიოს, აჯანყებებისა და ბრძოლების შესახებ, რაც ლონდონში მყოფი პოლონელი ემიგრანტების ბრძანებით 1 აგვისტოს დაიწყო ვარშავაში და დღემდე გრძელდება. ლონდონში მყოფი პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის გაზეთები და რადიო ამასთან გადაკვრით მაუთითებენ, თითქოს ვარშავაში აჯანყებულთ კონტაქტი ჰქონდათ საბჭოთა სარდლობასთან, უკანასკნელმა კი თითქოს მათ სათანადო დახმარება არ გაუწია.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ უცხოეთის პრესის ეს მტკიცებანი და ბადაკრული მითითებანი წარმოადგენენ ან საბჭოთა სარდლობაზე ცილისწამების გამოხატულებას. საკდესისათვის ცნობილია, რომ ლონდონში მყოფ პოლონელთა წრეებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რაც ვარშავაში ხდება, სრულებითაც არ უცდიათ წინასწარ შეეტყობინებინათ საბჭოთა სამხედრო სარდლობისათვის რაიმე გამოსვლები ვარშავაში. ამის გამო პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც ვარშავაში ხდება, ეკისრებათ მხოლოდდამხოლოდ ლონდონში მყოფ პოლონელთა ემიგრანტულ წრეებს.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 10 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	აგვისტოს გეგმის შესრულება წლის თვეების დასაწყისამდე	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	აგვისტოს გეგმის შესრულება წლის თვეების დასაწყისამდე
ბათუმი	65,7	13,3	ქუთაისი	68,5	7,7
ჭობულეთი	62,2	11,4	წყალტუბო	74,4	4,8
გ ა ლ ი	63,7	11,1	ტყიბული	77,4	17,2
ოჩამჩირე	60,1	8,0	ცხაკაია	66,5	6,9
გულრიფში	92,3	21,3	ა ბ ა შ ა	70,3	8,6
სოხუმი	132,0	—	გეგეჭკორი	61,8	8,0
გუდაუთა	71,7	—	ზუგდიდი	61,7	10,1
მახარაძე	64,6	9,0	წალენჯიხა	69,9	6,8
ჩოხატაური	65,5	0,6	ჩხოროწყუ	64,0	8,9
ლანჩხუთი	59,6	8,0	ხ ო ბ ი	64,9	5,6
სამტრედია	75,2	15,2	ჩხარი	73,8	18,6
წულუკიძე	63,9	12,4	ზესტაფონი	34,5	9,0

ჩოხატაურის, ნობის, გუდაუთის, სამტრედიის, ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონების ცნობები აუსრულია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

ქალაქ **ფსკოვის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მოლოშვა, ლიადინა, სატსერი, ლეპასარე, ტაბინა, ვასტსელიინა, საიკა, რესტუ, ვილა, კლანი, ლემატსი და რკინიგზის სადგური ლეპასარე.

ქალაქ **ორშის**ა-ლიბავის დასავლეთით (ზაპადნაია დვინაზე) ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის რიკშანი, რიზბასი, მურიეკი, ბაილიფი, მეუმალი, ბრაკნესი, ვიმრასი, დაუძესე და რკინიგზის სადგურები სერკისლი, სტოგუროგზი, სეცე.

ქალაქ **იელგავის** (მიტავის) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური აუცე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ეგლიტესი, იაუნკალილი, ზებრასი, ილესი, ბილეკიანი, სუბინნაი და რკინიგზის სადგურები ბერზუპე, ბიძსტი.

ქალაქ **ბელოსტოკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ავითარებდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კლევიანკა, მილევო, ტეცანე, ნოვა-ვესი, ზაფრანანი, ლაზი, კრიტული, ვნორი-სტარე, სოკოლი, ფაშჩი, ვრუბლი და რკინიგზის სადგურები მონკი, ვნორი.

ქალაქ **სედლეცის** ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიწევდნენ წინ და დაიკავეს 250-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მატკოვენტა, დოგბროვკა კოტლინაია, პენტკი, ტიმიანკი, ნური, ოლესნი, ვნორი-ლეპკი, კუტასკი, ლიპკი, სტოჩეკი, დოგბროვა, მიშალლა, კოსენეშიკი, ვულკა დოგბროვიცკა და რკინიგზის სადგური შეპეტოვო.

ქალაქ **სანდომირის** დასავლეთით მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმზე ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

11 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 71 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 46 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **ფსკოვის** დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილები შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გადავიდნენ მდინარე პიუზაზე (პიმეაზე) და დაიკავეს რკინიგზის სადგური ლეპასარე. განადგურებულია მტრის ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ქალაქ ფსკოვის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყენა ახალი რეზერვები და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჩვენმა ჯარებმა უკუაგდეს გერმანელები და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის სოფელი სიაკი, რომელიც 15 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ვირუს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ტყვედ წამოყვანილია მტრის 260 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 6 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და 5 ჯავშნტრანსპორტიორი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა განადგურეს მტრის კოლონა და ხელთ იგდეს 13 ქვემეხი, 4 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 9 ავტომანქანა და სხვა დაელა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ **ბელოსტოკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ბრძოლებს ეწეოდნენ. საბჭოთა ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა ძირითადი თავდაცვითი ზოლდე მდინარე ბეოზუვკაზე და დეზორგანიზაციას შეიტანეს მტრის თავდაცვაში ამ უბანზე. ჩვენმა მოძრავმა ჯარებმა ელოლემა ქვეგანაყოფებმა, რომელებაც ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ეხმარებოდნენ, დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა ცალკეკეალ მისდია ერმანელებს და შეუჩერებლივ განდევნა მოწინააღმდეგე ორი შუალედი თავდაცვითი ზოლიდან. გერმანელები ცდილობდნენ აღიდგინათ ჰდგომარეობა, რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. მოსპობილია 900 ჰიტლერელი, 15 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 13 საველე ქვემეხი და 39 ტყვეამფრქვევი.

* * *

ქალაქ **სანდომირის** დასავლეთით მოწინააღმდეგემ გამოიყენა ორი სატანკო დივიზია და ძალით კონტრიერიშზე მოიტანა ჩვენს ნაწილებზე. მტერს ზედიზედ მოჰქონდა იერიშები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალები. ეაჩადა გაფთრებული ბრძოლები. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა აჩვენეს, რომ გერმანელთა სარდლობამ თავიანთ ჯარებს ამოცანად დაუსახა ორ ნაწილად გაეკვეთათ საბჭოთა პლაცდარმი ვისლის დასავლეთ ნაპირზე და ხელთ ეგდოთ გადასასვლელები. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა, მაგრამ წარმატებას კი ვერ მიაღწია. გერმანელებმა დაჰკარგეს 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით, აგრეთვე 52 ტანკი და დღის ბოლოსათვის იერიშები შესწყვეტეს.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 12 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

* * *

უდიდესი სიხარულითა და ზეიმით ხვდებიან პოლონეთის განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი პოლონეთის ტერიტორიაზე შესულ საბჭოთა ჯარებს. პოლონეთის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები მხურვალე მადლობას უძღვნიან წითელ არმიას, რომელმაც გაათავისუფლა ისინი გერმანელ ფაშისტთა მონობისაგან.

ლიუბლინის საოლქოკომის სოფელ ჭაბანუკის მცხოვრებმა გლეხმა ბალეკმა სთქვა: „ხუთი წლის განმავლობაში ვიტანჯებოდით გერმანელთა ულელქვეშ. გერმანელები გადასახადებითა და ბეგარით ახრჩობდნენ გლეხებს. ჰიტლერელებმა ჩვენი სოფლის ბევრი მცხოვრები გარეკეს ლიუბლინის საკონცენტრაციო ბანაკში. წითელმა არმიამ დაგვიხსნა ფაშისტი მხეცებისაგან. პოლონელი ხალხი მუდამ მისი მადლობელი იქნება“.

სოფელ კაცაკის მცხოვრებმა გაცლაკ ეენძინსკიმ მიტინგზე განაცხადა: „ხუთი წელი ქვეყანადენენ გერმანელები ჩვენს მიწა-წყალს და აბუჩად გვიგდებდნენ. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე და შავბნელი დრო ჩვენს ცხოვრებაში. გერმანელები პოლონელებს არაადამიანებს, მუშა-პიროტყვს უწოდებდნენ. ჰიტლერელებმა ბევრი ჩემი თანამოსაფლელი გარეკეს გერმანიის კატორღაში და უკვე აპირებდნენ დანარჩენი მცხოვრებლების გარეკვას. მაგრამ წითელმა არმიამ დროზე გვიხსნა ფაშისტური მონობისაგან. მთელი სულით და გულით მადლობას ვუძღვნით წითელ არმიის მეომრებს“.

სოფელ ვეების მცხოვრებმა კალატოზმა ზატერჩუკმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა თავის თანასოფლელთა განწყობილება: „დღეს ჩვენს ქუჩაზე დიდი დღესასწაულია. შეზედეთ, — ყველა მცხოვრებს გამოეცხლებული და ხალისიანი სახე აქვს. ჩვენ ვზეიმობთ გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლების დღეს. მე მყავს ოცი წლის ვაჟი. მას სურს მეომარი გახდეს და ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის იბრძოლოს. მას სურს ჩადგეს პოლონეთის არმიის რიგებში და წითელი არმიის მებრძოლებთან ხელიჩაჭიდებულ ურტყას გერმანელ ბარბაროსებს. მე უაღრესად მოხარული ვიქნები, თუ მას ამ პატივს დასდებენ“.

65 წლის მოხუცმა პოლონელმა სტენჩუკმა მიმართა ჩვენს მებრძოლებს, და სთქვა: „ბევრი რამ განმიცდია ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, მაგრამ ისეთი მტარვალები და ბარბაროსები, როგორიც ჰიტლერელები არიან, ჯერ კიდევ არასოდეს შინახავს. ისინი სწვავდნენ ჩვენს სოფლებს, ხოცავდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ცოცხლად ბარავდნენ მიწაში ტყვეებს, აგრეთვე ქალებსა და ბავშვებს. ჩვენ გვიხარია თქვენი მოსვლა. ჩვენ მივესალმებით წითელ არმიას — პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელს ჰიტლერული ბინძურობისაგან და გულითად მადლობას გიძღვნით“.

პოლონეთის მოსახლეობა თავისი ინიციატივით დიდ დახმარებას აწევს ჩვენს ნაწილებს გზების შეკეთებაში, ტყვეებისა და ბორნების აგებაში. ერთ სოფელში 70 ოსტატმა შისთავაზა 6 ნაწილის მეთაურს თავიანთი სამსახური და დაიხმარა მდინარე ვისლაზე გადასასვლელის მოწყობაში. ადგილობრივი ქალების მაშინება გადასასვლელის მშენებლობაზე მიატანეს ორი გვარლი, სიგრძით 480 მეტრი თვითეული, თოსი, ლურსმანი და სხვ. მუშების სხვა ჯგუფმა 20 ნავი გაკეთ.

პარტიზან ვ. ფ. მანჯავიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაკაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია პარტიზანი ვასილ ტერენტიევიჭ მანჯავიძე.

საბჭოთა კავშირის ჰიმნი თარგმნილია უცხო ენებზე

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი თარგმნილია 20 უცხო ენაზე. ამჟამად უკვე გამოცემულია ჰიმნის ნოტები ტექსტით ათ ენაზე — ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ, ბულგარულ, ფერსულ, ჩინურ, სპარსულ, რუმინულ და ჩეხურ ენებზე.

მალე გამოქვეყნდება ნოტები ჰიმნის ტექსტით ინგლისურ, უნგრულ, პოლონურ, სერბულ, შვედურ, დანიურ, ჰოლანდიურ და ნორვეგიულ ენებზე. (საკდესი).

ქალაქ სანდომირის დასავლეთით

ოკუპაციო არმია, 11 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). ქალაქ სანდომირის დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლებს გრძელდება. საბჭოთა ჯარები იგერიებენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და აფართოებენ პლაცდარმს ვისლის მარცხენა ნაპირზე.

სანდომირი გერმანელთათვის ვისლაზე ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტის როლს ასრულებს. მოწინააღმდეგე გამაგრდა იქ და კონტროლს უწევს მდინარის მნიშვნელოვან მონაკვეთს, ხელს უშლის ჩვენს ჯარებს მარცხენა ნაპირზე გადასვლაში. ჩვენმა ნაწილებმა ფრონტიდან აღარ მიიტანეს იერიში და ღრმა შემოვლითი მანევრი მოაწყეს. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა გადალახეს ვისლა სანდომირის სამხრეთით და ჩრდილოეთით, წინ წაიწიეს დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან და დასავლეთიდან მოუარეს ქალაქს.

ჩვენ ათობით ტყვეს ველაპარაკეთ და ყველანი ერთსა და იმავეს ამბობენ: „ვისლა უკიდურესი ზღუდეა. ვისლას იქით გერმანიაა. თუ ჩვენ აქ ვერ შევაჩერეთ რუსები, ასეთი ბარაგვე ზღუდე აღარ გვექნება თვით გერმანიამდე“.

შიში მოახლოებული გარდუვალი შურისგების წინაშე აიძულებს გერმანელებს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლონ. ლეგიონის მმართველებათ საბჭოთა შეტევის პირველსავე დღეებში გერმანელები იძულებული გახდნენ ავმოქმედებინათ თავიანთი რეზერვები. ეს რეზერვები განადგურებულ იქნა და ჩვენი ჯარები წინსულას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგის ახალმა ნაწილებმა ვერ შესძლეს ამოვიყოთ ვეებერთელა ნაპრალები მის თავდაცვაში.

ვისლაზე გერმანელები თავს უყრიან დაშლამარე ძალებს არა მარტო ოკუპირებულ ქვეყნებიდან, არამედ თვით გერმანიიდანაც. ამ დღეებში სანდომირის დასავლეთით დამარცხებულ იქნა გერმანელთა ცალკე მოიერიშე ბატალიონი, რომელიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ მშვიდობიანად იყო განლაგებული ბერლინის მიდამოებში. ტყვეებმა აღვენეს, რომ ბატალიონი აჰყარეს განგაშით და დაუყოვნებლივ ჩასხეს ვატარებელში. ბატალიონი ვისლისაკენ რომ გადმოჰყავდათ, ჯარისკაცებმა ეს მხოლოდ მაშინ შეიტყეს, როცა დანიშნულებას ადგილს მივიდნენ. მათ არყის სამმაგი ულუფა მისცეს და ეაშინვე გარეკეს ბრძოლაში. ჩვენს ჯარებთან პირველსავე ბრძოლებში ბატალიონი განადგურებულ იქნა.

გერმანელები ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს ნაწილებს მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გაფართოებაში და კონტრიერიშებზე გადმოჰყავთ ტანკებისა და ქვეითი ჯარის ჭნიშნელოვანი ძალები და ითობით თვითმფრინავი. როგორც ფესი, მტრის კონტრიერიშებში მონაწილეობას იღებს 30-დან 60-მდე ტანკი. მთელ რიგ ადგილებში სატანკო ბრძოლები სწარმოებს. ერთ-ერთ კონტრიერიშში მონაწილეობას იღებდა ჰტრის 3 პოლკზე მეტი ქვეითი ჯარი, რომელიც გაძლიერებული იყო 80 ტანკითა და ითობით თვითმფრინავით. მაგრამ ჰტრის წარმატება არც ამ კონტრიერიშმა მოუტანა. ჯაფთრებული ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ჩვენმა ქვეითებმა ფფრინავებთან და არტილერიასტებთან თანამოქმედებით მედგრად მოიგერიეს ჰტრის კონტრდარტყმები და დიდი ზარალი მიაყენეს მას.

გ. კირილოვი

ავიაცია დროგობიჩისათვის ბრძოლებში

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია სამხედრო კორესპონდენტის წერილი უკრაინის მე-4 ფრონტიდან.

„დღეს ფრონტის ჯარებმა, — ნათქვამია კორესპონდენციაში, — იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი და საოლქო ქალაქი — დროგობიჩი — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი, რომელიც ჰარპატის მთების ულელტეხილთა მისადგომებს იფარავს.

სხვა ბვარეობის ჯარებთან ერთად ქალაქ დროგობიჩის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ავიაციის გენერალ-მაიორ სამოხინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნანეიშვილის, პოლკოვნიკ კოტელნიკოვის მფრინავებმა.

დღეს თქვენს კორესპონდენტს დაუვრილებით აცნობეს, თუ როგორ მოქმედებდნენ ჩვენი მფრინავები მოწინააღმდეგის თავდაცვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტისათვის ბრძოლებში. ვერანანელები შეუპოვრად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქალაქი, რათა დაეფარათ კარპატის მთების მისადგომები. მაგრამ ფრონტის ავიაცია, მძიმე მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ყოველნაირად ფუშავდა მტრის ამ გეგმებს. ბომბდამშენები „პეტლიაკოვი“, მოიერიშეები, „ილიუშინი“ გამანადგურებელთა საფარველ ქვეშ, დღედაღამ ურტყამდნენ მოწინააღმდეგეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

„კარპატის მთებში ვანუწყვეტელივ ისმოდა ყუმბარების და ბომბების აფეთქებათა ხმა. ჩვენი მოიერიშენი და ბომბდამშენები სპობდნენ გერმანელთა კოლონებს. ეი ერთ-ერთი ეპიზოდი. მთის გზაზე მიდიოდა გერმანელთა 100 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. ამ დროს მათ თავს დაესხნენ „ილიუშინები“. ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ ავტოკოლონაში არ დარჩენილა არც ერთი მთელი მანქანა: ზარბაზან-ტყვიამფრქვევებ ეცემოდნენ ცალცალკე მოსპობილ იქნა 500-ზე მეტი ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საჰაერო თავდაცვამ ცნობა მოიტანა, რომ გერმანელებს დროგობიჩისაკენ მოჰყავდათ რეზერვები და ამავე დროს ნავთი გაეჭიდოდათ სარეზერვოდან. სადგურ დროგობი

მოსკოვის ამბები

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შრომის მტკიცე დისციპლინისათვის

ამას წინათ გამოქვეყნებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ცალკეულ მუშაკებს, რომელთაც ბრალად ედებათ სამხედრო მრეწველობის საწარმოთა დეზერტირების მფარველობა-დამალვა, მოსკოვის საზოგადოებრიობის გაცხოველებული გამოხმაურება გამოიწვია. მოსკოვის უდიდეს საწარმოთა მუშები აცხადებენ, რომ შეუწყნარებელია რაიმე ლმობიერება წარმოების დეზორგანიზატორთა მიმართ.

სსრ კავშირის პროკურატურამ კატეგორიული მითითება მისცა ადგილობრივ ორგანოებს ამიერიდან უსასტიკეს პასუხისგებაში მისცენ საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ფარავენ დეზერტირებს.

სსრ კავშირის პროკურორი, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი გორშენინი „პრავდაში“ სწერს: „არ შეიძლება დაუშვათ საბჭოთა კანონების დარღვევა, არ შეიძლება დავუშვათ, რომ შრომის დისციპლინის დამრღვევნი გაუსტლტნენ პასუხისმგებლობას. საბჭოთა კანონები შრომის დისციპლინის შესახებ, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფას გამოხატავენ, უდიდეს როლს ასრულებენ წითელი არმიისთვის შეიარაღების, საომარი მასალის, საკვებულის წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში. ეს კანონები ურყევად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანოებმა, აგრეთვე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმისადმი“.

შრომის დისციპლინის დარღვევა განსაკუთრებით შეუწყნარებელია საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის საერთო ფონზე, როცა მთელი ზურგი ყოველნაირად ეხმარება მაქსიმალური დახმარება გაუწიოს ფრონტს. საბჭოთა ზურგი დაუღალავად სპედავს გამარჯვებას.

240.000 კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამბ. კაფტანოვმა გამოაქვეყნა სახალხო მეურნეობის მუშაობაში უმაღლესი სკოლის მონაწილეობის დამახასიათებელი ციფრები. „ომის დროს,—განაცხადა მან,—უმაღლესმა სკოლამ სახალხო მეურნეობას მისცა 240 ათასზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი. მრეწველობამ მიიღო 40 ათასი ინჟინერი. მომზადებულია ბევრი ექიმი, პედაგოგი, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სპეციალისტი“.

მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში

სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა აღგზნებულია სურვილით შეიძინოს კვალიფიკაცია, რათა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს სამშობლოს. ამით აიხსნება უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა დიდი სიმრავლე. მაგალითად, პირველმა სამედიცინო ინსტიტუტმა ამ ბოლო დროს მიიღო 8.000-მდე წერილი სხვადასხვა შეკითხვით, რომლებიც ეხება ინსტიტუტში შესვლას, თუმცა პირველ კურსზე მხოლოდ 800 ეკანდასია. მოსკოვის ამ უძველეს ინსტიტუტში უკვე მოდიან მისი ზომაგალი მოსწავლეები, რომელთა შორისაც არიან ფრიადოსნები, ყოფილი ფრონტელები, სამამულო ომის ინვალიდები.

ხელოვნების ფრონტზე

სტუდენტთა მისაღებად ემზადება ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, რომელსაც აქვს 75 ადგილი. უკვე შეტანილია 400-ზე მეტი განცხადება. ინსტიტუტმა წარმატებით დაამთავრა სასწავლო წელი კურსდამთავრებულთა სპექტაკლის — ჩეხოვის „სამი დის“ საუცხოო დადგმით.

სასწავლო წლის შედეგები შეაჯამა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიამ. მან წელს გამოუშვა 100-მდე მუსიკოსი, ვოკალისტი, დირიჟორი. მომავალ სასწავლო წელს კონსერვატორიაში იხსნება ორი ახალი კათედრა—ფოლკლორისა და კვარტეტებისა.

პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაში

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. იგი განსახილველ კლუბში აწყობს საუბრებს, რომელთა მიზანია აკადემიის მეცნიერებსა და ფართო პედაგოგიურ საზოგადოებრიობას შორის უშუალო კავშირის დამყარება.

ამ საუბრების ციკლი გაიხსნა აკადემიკოს ხინჩინის მოხსენებით მათემატიკის სწავლებაში ფორმალიზმის შესახებ. ხინჩინმა აღნიშნა, რომ ფორმალიზმი მათემატიკურ ცოდნასა და ჩვენებში წარმოადგენს მთელ რიგ მოწაფეთა მათემატიკური მომზადების ძირითად ნაკლს, რაც აფერხებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ საქმიანობას და მათ სწავლას უმაღლეს სკოლაში.

კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავი

ლიტერატურული მოსკოვი დიდ ყურადღებას უთმობს დიდი რუსი პოეტის იგავთმწერალ კრილოვის გარდაცვალების ასი წლისთავს, რაც 21 ნოემბერს სრულდება. ეს თარიღი რუსული კულტურის ისეთივე შესანიშნავი მოვლენა იქნება, როგორიც იყო ჩეხოვისა და რეპინის ამას წინათ ჩატარებული იუბილე. საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ შესანიშნავი თარიღის აღნიშვნაში. რეკომენდებულია ჩატარდეს კომკავშირული აქტივის კრებები, რომლებზეც წაკითხული იქნება მოხსენებები კრილოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მოეწყოს ლექციათა-საუბრების ციკლი. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან მწერლები, ლიტერატურის მცოდნეები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები.

ნორჩ მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება

მოსკოვის სასპორტო საზოგადოებრიობამ დიდი ყურადღება დაუთმო ნორჩ ჩემპიონთა შეჯიბრებას კრივში. საკომანდო პირველობა მოიგო მოსკოვის გუნდმა, მეორე ადგილი დაიკავეს ყაზანელმა მოკრივეებმა, მესამე — თბილისელებმა. უმსუბუქესი წონის მოკრივეთა ფინალურ მატჩებში გამარჯვება მოიპოვა მეძმარიაშვილმა.

კარელიის ფრონტი. ლეიტენანტ გოშევის ჭვეშები უყმბარებს უშენს ფინელთა პოზიციებს.

ფოტო გ. კონოვალოვისა

საერთაშორისო მიმოხილვა

მსოფლიო პრესა და საზოგადოებრიობა კვლავ შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ბრძოლებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გასული კვირა აღინიშნა წითელი არმიის ახალი გამარჯვებებით. ჰიტლერული სარდლობის ცდები — სტაბილური გაეხადა ფრონტი—კვლავ კრახით დამთავრდა. საბჭოთა დივიზიების საპატიო სახელწოდებათა რიცხვს მიემატნენ „სტრიას“, „დროგობიჩის“, „ბორისლავის“ და „სამბორის“ სახელწოდებანი. ჩვენი ჯარები გავიდნენ იმ უღელტეხილების მისადგომებზე, რომლებიც კარპატის მთებზე გადადიან. დღითიდღე ფართოვდება პოლონეთის მიწა-წყლის ტერიტორია, რომელიც წითელმა არმიამ გერმანელ ოკუპანტთაგან გაათავისუფლა. ჩაღდება ბრძოლა ვარშავისათვის. უაღრესად გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს აღმოსავლეთ პრუსიის ჭიშკართან და ბალტიისპირეთში, სადაც გერმანელთა ჯარებს, რომლებიც მოწყვეტილი არიან აღმოსავლეთ პრუსიას მთელ სახმელეთო კომუნიკაციებზე, გარს ერტყმის საბჭოთა დივიზიების რკალი, რომელიც სულ ვიწროვდება.

ბრძოლას, რომელიც ფინეთის ყურიდან კარპატის მთებამდე სწარმოებს, საყოველთაო აღიარებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ომის შემდგომი მსვლელობისათვის. ჰიტლერულ სარდლობას წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოუყავს ახალ-ახალი ჯარები, რომლებსაც ბრძოლის სხვა უბნებიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე აშველიებს. მხგალითად, უკანასკნელ დროს, 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე, ნორვეგიიდან, ფუგოსლავიიდან, უნგრეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან და დასავლეთ პოლონეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოყვანილ იქნა გერმანელთა 16 დივიზია და ბრიგადა.

ჰიტლერელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოიგონ დრო, რაც საჭიროა გერმანიაში, საზარბაზნე ხორცის ახალი პარტიების საშოვნელად, თავიანთი შებერტყილი ჯარების გადასაჯგუფებლად. „თუ ვდგომარეობას ანალიზს გავუკეთებთ, — სწერს გერმანიული ფაშისტური გაზეთი „რაინის ვესტფალიშე ციტუნგი“,—არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დროის ფაქტორი. ჩვენ ვცდილობთ მოვიგოთ დრო... ბრძოლა დროის რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საყოველთაო გახდა“.

გერმანელებს სწყურიათ შესვენება, მაგრამ წითელი არმია სწორედ ამ შესვენებას არ აძლევს მათ, ყოველ დღე ჰფუშავს ჰიტლერული სარდლობის ყველა ვარაუდსა და გეგმას. წითელი არმიის დიდმა გამარჯვებებმა გამოიწვიეს არა მარტო მდგომარეობის ძირეულად ცვლილება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჩვენს სასარგებლოდ, არამედ პირობებიც შეიქმნეს საფრანგეთში ჩვენი მოკავშირეების წარმატებითი მოქმედებისათვის. გერმანელებმა, რომლებიც იძულებული არიან განუწყვეტლივ მიაშველონ ახალი ძალები თავიანთ ჯარებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ვერ შესძლეს განეტკიცებინათ თავიანთი თავდაცვა დასავლეთში. ამიტომ ჩვენი მოკავშირეების პირველმავე სეირნობულმა დარტყმამ ჩაფუშა ჰიტლერელთა ყველა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბრძოლა დასავლეთში პოზიციური ომის ჩარჩოებს არ გასცდებოდა. გასული კვირის განმავლობაში ინგლისისა და ამერიკის ჯარებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს.

* * *

საფრანგეთში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების უკანასკნელი ოპერაციების ძირითადი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ომმა დასავლეთშიც მანევრული ხასიათი მიიღო, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ჰიტლერელებისათვის ესოდენ არახელსაყრელი ეკაგონელება ფრონტისა და მათი ძალების დაქსაქსვა. დარტყმა, რომელიც მოკავშირეთა ჯარებმა გერმანელთა თავდაცვის მარცხენა ფლანგს მიაყენეს, მოულოდნელი აღმოჩნდა ფაშისტური პროპაგანდისთვისაც, რომელსაც ახლა თავგზა აებნა. მაგალითად, გერმანიის საინფორმაციო ბიუროს სამხედრო მიმოხილველი გალენსლებენი აღიარებს, რომ ომმა მანევრული ხასიათი მიიღო, და ამტკიცებს, თითქოს „გერმანია ითვალისწინებდა ასეთ შესაძლებლობას“. ეგდგომარეობის შეფასებაში მას მკვეთრად არ ეთანხმება ფინელი მიმომხილველი შილდი. „გერმანელები, — აცხადებს იგი,—არ ითვალისწინებდნენ, რომ მოკავშირეთა იერიშები, რომლებსაც ისინი უკვე დიდი ხანია ეწეოდნენ კანის სკქტორში, გადავიდოდა დასავლეთის ფლანგზე, როგორც ეს ახლა ნამდვილად მოხდა, როგორც სჩანს, გერმანელები არ ფიქრობდნენ, რომ ამერიკელები, რომლებიც თავიანთ ღონისძიებებს მუდამ კოტანტენის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ მიმართავდნენ, მოისურვებდნენ თავიანთი პლაცდარმის გაფართოებას დასავლეთით“. შემდეგ შილდი აღიარებს, რომ ამერიკელთა შეტევამ ბრეტანზე „გერმანელებს მოუმზადებლებს მოუსწრო“.

მართლაც, ამერიკის ჯარების დარტყმა სენ-ლოს რაიონში სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა ჰიტლერული სარდლობისათვის. ფაშისტთა ძირითადი ძალები შებოჭილი იყვნენ კანთან, სადაც ინგლისელები მიწოლას არ ასუსტებდნენ. თავისთავად ეგულისხმება, რომ ინგლისის ჯარების მოქმედება კანის რაიონში და ამერიკის ჯარების მოქმედება გერმანელთა თავდაცვის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ შეადგენდნენ მოკავშირეთა ჯარების შეტევის საერთო გეგმის ნაწილს, გეგმისა, რომელიც მთლიანად შესრულდა და რომელიც ჰიტლერულმა სარდლობამ ვერაც გაიგო და ვერც გამოიცნო.

29 ივლისს კუტანსი მოკავშირეთა ჯარების ხელში იყო, ხოლო 31 ივლისს ამერიკის ჯარები ავრანშში შევიდნენ. ამავე დღეს დაკავებულ იქნა გრანვილი, ხოლო 3 აგვისტოს ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ბრეტანის მთავარი ქალაქი—რენი, სადაც მათ უკვე შესძლეს განეკითარებინათ მარაოსებრი შეტევა. ერთი დროს, როდესაც ამერიკის ჯარების ერთი კოლონა განაგრძობდა წინსვლას სამხრეთისაკენ, მეორე კოლონა დასავლეთისაკენ მიბრუნდა და ვალე მიაღწია ბრესტს (ბრეტანის უდიდესი ნავსადგური) და ლორიანს (გერმანელთა წყალქვეშა ნავების უმნიშვნელოვანესი ბაზა). სამხრეთისაკენ მიმავალმა კოლონამ გაიარა რედონი, და სენ-ნაზერს მიაღწია. ამავე დროს ვითარდებოდა შეტევა აღმოსავლეთით: ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ლავალი, მაიენი და, უკანასკნელი ცნობებით, ლე-მანი (პარიზდან 180 კილომეტრზე), ხოლო სამხრეთით—ქალაქი ნანტი.

ამნაირად, გერმანელთა თავდაცვის მარცხენა ფლანგი მთლიანად დეზორგანიზებული აღმოჩნდა. ამიტომ მოკავშირეთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს კანის რაიონიდან, ე. ი. გერმანელთა თავდაცვის მარჯვენა ფლანგზე, რომელზედაც იქნება რთული მდგომარეობა ამერიკის შემტევი ჯარების აღმოსავლეთისაკენ წინსვლასთან დაკავშირებით.

ინგლისისა და ამერიკის ჯარებს, რომლებიც საოპერაციო სივრცეში გავიდნენ, ამჟამად შესაძლებლობა აქვთ მთლიანად გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა ავიაციაში და სახმელეთო ჯარების რაოდენობის მხრივ და ფართო შეტევა განავითარონ პარიზის მიმართულებით.

სულ უფრო სავრცნობ დარტყმებს აყენებენ ოკუპანტებს ფრანგი პარტიზანები, რომელთა ავტივობაც მატულობს.

მდგომარეობა [illegible] ავღოთებს [illegible] ბრძოლებში [illegible] ისინი [illegible] განაცდიან. ჰიტლერელები ცახცახით ეძებენ ჩიხიდან გამოსავალს და კარგად ესმით, რომ ფრონტებზე მომხდარი ამბები იწვევენ გერმანიის საშინაო მდგომარეობის შემდგომ გაწყვეტას, მდგომარეობისა, რომელიც წინანდელზე [illegible] დებატიდან [illegible] ლასათვის ცხადია, რომ ჰიტლერელთა [illegible] საბოლოოდ წაგებულია. გებელსიც კი, რომელიც უკანასკნელ დროამდე გერმანელებს უმტკიცებდა გერმანიის უძლეველობას, ახლა ამაში ეჭვს გამოსთქვამს. გერმანიის სახელმწიფო ხომალდი, რომელშიც ასეთ ზღვა დაზიანება მიიღო, ამბობს გებელსი, „შეიძლება მალე ჩაიძიროს ტალღებში [illegible] ლასთან ერთად“. ჰიტლერმა თავის უკანასკნელ სიტყვაში (4 აგვისტოს) აგრძნობინა, რომ მას არ შეუძლია უზრუნველყოფოს წარმატებანი, ვინაიდან ზურგში არ არის სრული უშიშროება, ღრმა რწმენა და მჭიდრო თანამშრომლობა.

* * *

გერმანიაში დამთავრდა ფეიმბოხე გენერლების გასამართლება. სასამართლოს კომედიაზე მოწყობილი იყო საშუალო საუკუნეების სამსჯავროს ყველა კანონის მიხედვით, მოსამართლეები წითელი მოსასამართლეთ იყვნენ ბრალდებულთა აკრძალული ჰქონდათ სამხედრო ფორმით გამოცხადება. ეთან ყველას სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ და... უალსტუკოდ იყვნენ.

განაჩენი ცნობილია.

იბადება კითხვა: რამ აიძულა ჰიტლერელები მოეწყოთ სასამართლოს ინსცენირება, ბამოექვეყნებინათ ბროშურა ბრალეულის შესახებ, აეტეხათ ხმაურობა შეთქმულთაზე, რომელიც მათ თავდაპირველად ეცოდენ ბჯოთად სურდათ მიეჩქმალათ და ამტკიცებდნენ, რომ მასში „ძლივს სამი გენერალი მონაწილეობსო?“. ჯერ ერთი, მოკლენათა მიჩქმალვა საშიში იყო, ვინაიდან შეთქმულობის ამბავი მთელ გერმანიას მოედო; მეორეც, სასამართლოს შეწყობით ჰიტლერელები ცდილობდნენ საქმე ისე ეჩვენებინთ, თითქოს შეთქმულობა მხოლოდ სამხედრო პირებით განისაზღვრება, როგორც ცნობილია, შეთქმულობაში ჩარეულნი იყვნენ სამრეწველო და სავაჭრო მმართველნი წრეების ზედაფენის წარმომადგენლებიც დიალომატებიც და მაღალი თანამდებობის ფაშისტი მოხელენიც.

„სასამართლოს“, სხვა ყოველივეს გარდა, უნდა განემტკიცებინა ჰიმლერის პოზიციები და გაემართლებინა უსაზღვრო ტერორის მისი პრაქტიკა, და მიუნენი „სულიერად სუსტნი“ და შეეჩნა წინამძღვრები არა მარტო „აშკარა მეამბოხეების“ დასასჯელად, არამედ სპეციალ ელემენტების დასასჯელადაც. და ბოლოს, ჰიტლერელები ცდილობენ „მეამბოხე გენერლებს“ მოახვიონ თავს ბრალი და ამ სუხისმგებლობა უსასტიკესი დამარცხებისათვის, რომელიც გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განიცადეს.

„სასამართლოს“ სურათი ყველაზე უკეთ გეიხატავს გერმანიის შინაგან კრიზისს, რომელიც არ დამთავრებულა და საკამართლო პროცესით არ დამთავრდება. იგი გეიზრდება და განვითარდება იქ ნიადაგზე, რომელზედაც ალმოცენდა, — ფრონტზე დამარცხებათა ნიადაგზე. ხოლო დამარცხებათა ნაკლებობა როდი იქნება. ამისი თავდებია წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების წარმატებითი ბრძოლა ადგილზე დაჯდა უბრძო. ეტყობოდა, უჩარდიას სიტყვების გაზზრებით იყო გართული და ღელავდა. ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ, უცებ მიუბრუნდა უჩარდიას და გულთბილად უთხრა:

— ვერ დავფარავ და უნდა გამოგიტყდეს ერთი უხერხულობა მელობება წინ... რაზმის უფროსი მე ვარ, და გულწრფელად გეტყვი, რომ მეუხერხულება შენისთანა სახელოვანი ვეკაცი და ამავე დროს ხანდაზმულიც ჩემს ხელქვეით ვიმყოფო.

უჩარდია წამოდგა.

— ამ საქმეში შენ გეკუთვნის აქ უფროსობა, ძვირფასო კირილე, ხოლო მე—შენი მორჩილება,—მოკლედ და ბეჯითად გაიწყვეტინა მან სიტყვა გორიაკოვს.

ფსხუს რაზმის უფროსიც ზეწამოიჭრა, შორიდან გამოაჭანა თავისი მარჯვენა და უჩარდიას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. უჩარდიამაც მძლავრად ჩაბღუჯა იგი თავის მძლავრ თითებში.

მაგრამ გორიაკოვი ამით არ დაკმაყოფილდა. მარდად მიიქცა კედლისკენ, ჩამოკრა ერთი შავად მბზინავი მოკლე და კოხტა თოფი, ხელში შეატრიალა და უჩარდიას შორიდან დაანახა.

— სწორედ გუშინ ბიუბმა ერთი დივერსანტი შეპყრობილი ომიყვანეს. მისგან ამის მეტი სხვა არაფერი დარჩენილა, ძვირფასო უჩარდია. სისასტიკეში ნუ ჩამომართმევ: მასზედ ესინჯე მისიგი თოფი, და ჩინებული გამოდგა... იშვიათი... თუ არა შენ, სხვისთვის ვერ შეველეოდი. გარწმუნებ... მიირთვი.

პატარა, მკვრივი ტანის საზიზი შემართვით [illegible] ბლა უჩარდიას, თავისი ულალ, მკვრელი თვალები გაუსწორა მისას და ნაბეჭდ თოფი გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

დეპუტატები დაბრუნდნენ მშობლიურ ადგილებში

წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ლვოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბევრი დეპუტატი. ესინი უკვე შეუდგნენ თავიანთ სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებას, სათავეში ჩაუდგნენ აღდგენითს სამუშაოებს. ლვოვის ვაგონსარემონტო ქარხნის ყოფილი მუშაკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. სადოვი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს და აქტიურ მონაწილეობას იღებს რკინიგზის კვანძის აღდგენაში. საკონდიტრო ფაბრიკა „ბრანკის“ ყოფილი მუშა ქალი, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე კუზმინსკაია ფაბრიკაში დაბრუნდა და მის აღდგენას ხელმძღვანელობს. უკვე გადაეცემულია საექსპლოატაციოდ პირველი სამი საამქრო. ამ დღეებში „ბრანკა“ მოგვცემს პირველ პროდუქციას ლვოვის სახელოვანი დივიზიებისათვის. (საკდესი).

ახალი უმაღლესი სასწავლებლები

ომის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გაიხსნა 52 ახალი უმაღლესი სასწავლებელი. ახალი უმაღლესი სასწავლებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაიხსნაა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, რომელთა სწრაფმა სამრეწველო განვითარებამ გაზარდა მოთხოვნილება ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრებზე. ასე, მაგალითად, ჩიმკენტში დაარსებულია სამშენებლო მასალათა ინსტიტუტი, ჩელიაბინსკში — მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, პეწხასა და ნიენი ტაგილში — ინდუსტრიული ინსტიტუტები.

იმ რაიონებში, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროება სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, შექმნილია ახალი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები: ალტაის, ალროსლავლის, კურგანის, ურიუპინსკის და სხვები.

კუბიშევში, კრასნოიარსკში, ჩელიაბინსკში, კისლოვოდსკში გაიხსნა ახალი სამედიცინო ინსტიტუტები, ვლადივოსტოკში, ბარნაულსა და სხვა ქალაქებში — პედაგოგიური ინსტიტუტები. (საკდესი).

ნაკეთობათა ავტომატური წუნდება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტმა ერთ თავდაცვითს ქარხანასთან ერთად ადგა დაზგები მასობრივი წარმოების ნაკეთობათა ავტომატური წუნდებისათვის. ზოგიერთი ამ დაზგათაგანი უკვე დანერგილია მრეწველობაში. ისინი ხელს უწყობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას, მნიშვნელოვნად მცირდება საზომი ინსტრუმენტის ხარჯვა, თვითეული ასეთი მრავალსაოპერაციო დაზგა რვა კონტროლიორს სცვლის. (საკდესი).

საბჭოთა ლიტერატურა

ლეო ქიაჩელი

კირილე გორიაკოვი

(თავი მოთხრობიდან)

დარდად ისიც ეყოფოდა უჩარდიას, რომ მთელი ორი თვე სრულდებოდა, რაც ჯოტოსაგან არაავითარი ცნობა არ მოსდიოდა. ახლა ამას საერთო მდგომარეობის გართულებაც დაემატა: მტერი დასავლეთ კავკასიონს მოადგა, და მთავარი ქედით გადმოვარდნილმა ომის ქუხილმა ერთიანად შეარყია პირაქეთა ხეობების სიმშვიდე და მყუდროება.

ფსხუელები დღე-დღეზე მოელოდნენ დამპყრობთა გამოჩენას უღელტეხილებზე, რომლებიც ბზიბის ხეობას გადმოსცქეროდნენ.

მთას მტრის აგენტები კალთასავით მოეფვნენ,—ზოგი ბილიკებით ფეხდაფეხ შემოპარული, ზოგიც პარაშუტებით შორიახლო გადმოსხმული. მაგრამ კირილე გორიაკოვს და მის გამანადგურებელ რაზმსაც არ ეძინათ. მათი მბრნეობის წყალობით ხეობაში წესიერება ირსად დარღვეულა და ჰტრის ბოროტ ზარაგას გასაქანი არ მისცემია.

ფსხუში გამანადგურებელი რაზმი მეტწილად ადგილობრივი მონადირეებისაგან შესდგებოდა. ფრონტის მოახლოების მიზეზით კარგი ხანი იყო, რაც მათ საყვარელ საქმეზე ხელი ჰქონდათ აღებული. დამფრთხალი ნადირიც გასცლოდა ნაჩვევ ადგილებს. რაზმელებს ახლა ნადირის ნაცვლად მტრის აგენტებზე გაემართნათ ნადირობა.

კირილე გორიაკოვი ისედაც ფიცხი და ხელგამოღებული კაცი იყო. მტერთან ბრძოლის ამ ახალმა, მისთვის აქამდის უცნობმა ფორმამ ერთი ორად შემატა მხნეობა. დივერსანტების გზა-კვალის მიგნება ტყეთ დაბურულ მთებსა და ხეობებში განსაკუთრებული მიხვედრისა და გამჭრიახობის ნიჭს მოითხოვდა. ვერაფერული საშუალებებით მომქმედი მტრის წინააღმდეგ საჭირო იყო შესაბამისი ხერხების გამოყენება. კირილე გორიაკოვი ამ მხრითაც თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ეშვიათად, შემთხვევით თუ მოხდებოდა, რომ მის მიერ დაგებულ მახეს მტერი ასცდენოდა, რანაირადაც შენიღბული არ ყოფილიყო. მახეში გაბმულს კი მოკლედ და სწრაფად უსწორდებოდა გორიაკოვი. მის სიტყვას ყოველთვის ტყვია უსწრებდა. მაგრამ ამას იგი თავის იარაღს აბრალებდა:

— ჩემს რეგოლვერს ასეთი ხასიათი აქვს: თვითონ ამოდის ბოლჩიდან და ისვრის, როცა ჰტრის მყრალი სული ეცემაო,—ამბობდა ძველი ყუბანელი მებრძოლი, ჩრდილოეთ კავკასიის უმძიმესი სამოქალაქო ომების მონაწილე ახალგაზრდობაში.

ბზის ხის ნამორიგით მკვრივი და სწორად მოკვეთილი, დაბალი, ვერცხლის წყალივით დაუდეგარი კირილე გორიაკოვი მუდამ გამოწვევად შემართული დადიოდა,—ამიტომ კი არა, რომ ეს შეეფერებოდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარის საპატიო მდგომარეობას ან მის მიერ ბოლო დროს ჩამოყალიბებული ბანაგადგურელი რაზმის უფროსის ღირსებას; —იგი ბუნებით იყო ასეთი.—წითურ, ხეშეშ ულვაშებქვეშ უცნოდ მოხაზული ნიშანივით უცნაური ღიმილი უციალებდა ჩვეულებრივად. ახლო მეგობრებისათვის, შეიძლება, იგი სანდო და მიმზიდველიც ყოფილიყო დროდაღამ. მაგრამ ამათთვის კი, ვისაც გორიაკოვი რაამე მოსაზრებით არ ენდობოდა, ეწარე დაცინვასთან ერთად სასტიკ და მოურიგებელ გაფრთხილებასაც გამოხატავდა. შეუმჩნეველი არ რჩებოდა ისიც, რომ ეს ღიმილი ზედმიწევნით შეეწყობოდა გორიაკოვის ელვა, ფვრილი და მოშხუსხველი თვალების შეუპოვარ გამოხედვას, რომელიც გალესილი ფოლადის ბრეწყვიალსა ჰგავდა და საგნებს უფრო ეჩრიდა და ჰკვეთავდა, ვინემ საცქერად ნიშანში იღებდა.

მაგრამ იყო ერთი კაცი ფსხუში, რომლის მიმართ, ეიუხედავად უნდობლობისა, გორიაკოვის ღიმილს მწარე დაცინვა ან მოურიდებლობა არასოდეს გამოუხატავს, ხოლო მის თვალებს — შეუპოვრობა. ეს იყო უჩარდია ქარდა.

უთუოდ რთული, სრულიად განსხვავებული და თავისებური იყო ძველი მებრძოლი ბოლშევიკის დამოკიდებულება ფსხუელ რაინდთან. ამ დამოკიდებულებას ერთი მხრით პოლიტიკური უნდობლობა და ეჭვი განსაზღვრავდნენ, ხოლო მეორე მხრით ჩუმი აღფრთოვანება იმ პირადი ღირსებებით, რომლების წყალობით უჩარდიას მთაში სწორუპოვარი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და კირილე გორიაკოვიც ერთთავად მოხიბლული ჰყავდა, როგორც ვაჟკაცობის დიდი მოყვარული და დამფასებელი.

გორიაკოვის ეჭვებს არასოდეს არ ჰქონიათ არავითარი ხელშესახები და გარკვეული პოლიტიკური საფუძველი. ასე რომ ყოფილიყო, უჩარდიას სხვა პირადი ღირსებების ვერავითარი მოწონება ვერ შეანელებდა სასოფლო საბჭოს ფიცხელი თავმჯდომარის ღონისძიებას მის წინააღმდეგ. კირილე გორიაკოვის ეჭვებს თითქოს თავისთავად იწვევდა მხოლოდ ის გარეგნება, რომ უჩარდია ახალი, საბჭოთა ცხოვრების სტილს არაფრით არ შეეფერებოდა. ვერ შეწყობოდა იგი მას ვერც ხასიათით; ვერც გარეგნობით, ვერც სიტყვაპასუხითა და სხვა ჩვევებით, რასაც გორიაკოვის თავში არა ერთხელ აღუძრავს ფიქრი:

— ვაჟკაცად რომ არ ვცნობდე, სწორედ ამ კაცზე ვიტყოდი, რომ გაჭირვების დროს გვიღალატებს და მტერს მიეფგება.

კირილე გორიაკოვი გულწრფელად იყო მოწადინებული, რომ ამ ეჭვებისათვის თავი დაეღწია და უჩარდიასთან ურთიერთობა გაემარტივებინა. მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. საქმეს ვერ უშველა ორმა დიდადმნიშვნელოვანმა ამბავმაც, რომელიც ბოლო დროს უჩარდიას ცხოვრებაში მოხდა,—ერთი იყო უჩარდიას მიერ აშვიათი და ძვირფასი სპლულიანი სანადირო თოფისა და მისი მოწყობილობის საჩუქრად მიღება სოხუმიდან. ამ შემთხვევაში კირილე გორიაკოვისთვის საყურადღებო იყო ამ ამბის ის მხარე, რომ საჩუქარი სოხუმიდან ფსხუში თავის ხელით ამოტანა საგანგებოდ გამოგზავნილმა შინსახკომის თვალსაჩინო თანამშრომელმა კუთვნილებისამებრ გადასაცემად, რაც თავისთავად უჩარდიასადმი განსაკუთრებულ პატივისცემას მოასწავებდა მაღალი ავტორიტეტით მოსილი სახელმწიფო დაწესებულების მხრითაც.

მეორე ამბავი ამაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ეს გახლდათ უჩარდიას ვაჟის ჯოტოს სამამული ომის გმირის მაღალი სახელწოდებით დაჯილდოების აღსანიშნავად ეფხაზეთის კომკავშირის მიერ მოაწერობისა და პარტიის პასუხისმგებელი წარმომადგენლების თანდასწრებით ფსხუში გამართული დიდი მიტინგი, რომელზედაც უჩარდიას თავის გვირ-შვილზე ნაკლები ქება და დიდება არ რგებია ხელმძღვანელი ამხანაგებისაგან.

ყოველივე ამის შემდეგ მაინც მოელოდა გორიაკოვი, რომ მისთვის არასასიამოვნო ეჭვები ამიერიდან მაინც თავს დაანებებდნენ. მაგრამ მისი გაკვირვება დიდი იყო, როცა მისმა შეგნებამ ამ კვალობაზე ახალი განმარტება და კანონზომიერი საფუძველი გამოუნახა მის მაწუხებელ

ფუძე და ვენახი

ვინ გამოიცნობს, შვილი უფრო უყვარს ბაღელ კაცს, თუ ვენახი. ერთი კი ცხადია, ორივეს ტრფობა სადღაც ერთ ადგილას, მის გულში თუ „ჯიგარშია“ დასადგურებული.

— რად მიგვატოვე ეგრე ამოვარდნილ ვენახივითო,—შეაგებებს მწვავე სამდურავს უყურადღებობით გულდაწყვეტილი ნათესავი თავის საბრალო მოკეთეს.

— ყვარელელ კაცი არასდროს არ გავაგონებთ: ვაზი დავრგეო. ორი მწკრივი ნამყენი რომ ჩაყაროს, ზარზეიმურად იტყვის:—ვენახი გავაშენეო. ზვრის გაშენება ოჯახის ფუძის განმტკიცებას ნიშნავს, ამოგდება კი ფუძის მოშლას.

სტალინური ხუთწლედების ამაღორძინებელი ხელი მევენახეობასაც მძლავრად შეეხო. ბევრი რამ შესძლო კოლმეურნეთა შრომამ. 93 ჰექტარს მიაღწია მარტო ერთი კოლმეურნეობის—ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზვარმა სამამულო ომის წინა წლებში. ეს კარგა მოზრდილ საჰექტარო მეურნეობის ფართობს უდრის. 72 ჰექტარი ვენახი გააშენა შილდის კოლმეურნეობა „მესვეურმა“, 54 ჰექტარი—შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ. იშვიათია ყვარლის რაიონში ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც 15-20 ჰექტარი ვენახი მაინც არ ჰქონდეს გაშენებული.

საქართველოში ყვარლის რაიონი თავისი ღვინით და ვენახებით. საერთაშორისო გამოფენაზეც უსახელებია ყვარლური წითელ ღვინოს ჩვენი ქვეყნის ათასწლოვანი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა. ახლა საქართველოს შეცნიერებათა აკადემია დიდ მუშაობას აწარმოებს ამისათვის, რომ სხვა, ძველთაგან სახელგანთქმული ქართული სუფრის ღვინოებთან—ატენურთან, სანავარდოსთან, ჩხაველთან, ოჯალეშთან და სხვებთან ერთად, ცნობილი ყვარლური ქინძმარაულის მოწვის და დაყენების წესები ალაგდინოს.

— ვენახს დიდი თავმოყვარეობა აქვს,— ტყვიან ხოლმე აქაურები და მართლაც, მაკრატელი უჭირავს ხელში მევენახეს, სათალელი თუ ხრალი, მუდამ ერთნაირი ზვიადი ყელმოღერებით მიაბიჯებს ზვრისაკენ.

ყამგადასული ბებერი რომ მიდიოდეს ვენახში, ჯეელივით წელში იმართება, ამაყად გადახედავს შემხვედრთ, თითქოს ბრძოლას ველზე მიიჩქარისო და იგი ხომ მართლაც „მამელს“ იცავს.

წელიწადი — თორმეტი თვე არ სწყდება ბრძოლა ვენახში, ბრძოლა მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის და ბრძოლა საკვლავისა—„მამფალის“ შესანარჩუნებლად. ეალერსება, „ეფოლორცება“ მევენახე ვაზის მრუდე რქებს. მისი ფიქრი მუდამ ვენახს დასტრიალებს თავს, თავის ნაფიქრ-ნაგრძნობს ანდაზებად, ნაკვეცებად, თავისებურ სამეურნეო აფორიზმებად ადიდებს, რომ ის თაობიდან თაობაზე გადავიდეს.

ნამდვილი „ომთა-ომი“ კი მაინც მაშინ იწყება ვენახში, ყლორტი ერთი მტკაველი და ფოთოლი პაპრიანის ტოლა რომ გახდება. ეს ნიშანია მევენახისათვის. დადგა ვაზის ბორდოს ანუ შაბიამნის სითხით წამლობის დრო. დიდი ხნით ადრე დაიწყეს ბოლვა საკირეებმა—კირ-ქვის საბადოებთან. ახლა კი ორლობებში დაჭრილნენ კირით დატვირთული ურმები. თუ არეული ამინდები დაიჭირა, მევენახე ერთთავად ცის ტატნობს გაჰყურებს, საფიქრო დაზგის მაქოსაკით გარბი-გამორბის, ცდილობს დროით უწამლოს ბაზს, გადიშენის თუ არა, ვენახებისკენ მიახახანენ წამლის ურმებით დატვირთული ორთვალები. ხელთოხიანები კი არხებს დაუყვებიან, რომ ზვრებს მიუმარჯვონ წყალი. მთელი დღე არ სწყდება ვენახებში შესაწამლი აპარატის საქაჩავების ღრიჭინი. შუშუნით დასდის ბორდოს სითხე ვაზის დაბილულ ფოთლებს, შმაგად აზრდილ ყლორტებს, კუმს მტევნებს, სენსა და სატკივარს არიდებს ვაზებს.

დახშირბინდდება. ფრთაშესხმულ ვარსკვლავებივით ამოფრინდებიან ციცინათელები. ორლობეებში გაუქედილი -ნახირი გზას ულობავს მინდვრებიდან მომავალ ხალხს. ვინ ყანის მკიდან ბრუნდება, ვინ სიმინდის თოხნიდან. მაგრამ ყველაზე ამაყად თავით ფეხამდე შაბიამნის ხსნარში შეღებილი კაცი გამოიყურება. მას ზურგზე ვერმორელის აპარატი ჰკიდია, მხარზე თოხი უდევს, ხელში თითქოს ლურჯ მინანქრით მოჭიქული ცალყურა უჭირავს. ვინ არ მიხვდება, რომ მას გრძელი ზაფხულის დღე ვაზების ჰოვლა-სამსახურში გაუტარებია და იგი გუნებადადინჯებული ბრუნდება ზინ.

ბევრი ვაჟკაცი გაგზავნა ყვარლის რაიონმა სამამულო ომის ფრონტებზე და მეტწილად ისინი, ვინც ამ „ვაზების მოვლა-სამსახური“, ვენახის „ხელი“ იცოდა. ზურგში დარჩენილები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ ვაზმა მუშახელის ნაკლებობა არ იგრძნოს.

კარგად მოვლილ ვენახზე იტყვიან აქ მოწონებთ: ეგეთი ვენახია, როგორც დავარცხნილი ქალის თმაო. მაგრამ ვაზის მოვლის ურთულესი ოპერაციები—გასხვლა, შეწამვლა აქამდე ეხლოდ მამაკაცების საქმედ ითვლებოდა. ახლა კი ქალებმა სასხლავი მგკრატელიც შეიტანეს ვენახში, შესაწამლი აპარატიც აიკიდეს და, როგორც სხვა დარგში, მევენახეობაშიც ამოუდგნენ მამაკაცებს გვერდში.

წელს რაიონში ლოზუნგად წამოაყენეს: ვიქონიოთ ვენახები გაფხვიერებულ, სუფთა მდგომარეობაში და კოლმეურნეთა მასა, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად აქვს ნაწოვნი ვენახის სიყვარული, ცხოვლად გამოეხმაურა ამ ეოწოდებას. ყველა კოლმეურნეობაში ორ-სამჯერ მოხნეს და მწკრივთა შორის გამობარეს ვენახები. თავის დროზე შესარეს, წეყელეს, გაფურჩქნეს, შეწამლეს საკოლმეურნეო ზვრები.

— სამუშაო წელს ბევრი გვაქვს, ვენახები მფიქრეობდა, მაგრამ ძალიან შეეფალეთ მისი სათანადოდ მოვლა, ქალებმა და ბერმა პაპებმაც კი აიკიდეს შესაწამლი აპარატები, — ამბობს ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლადიკო გელაძე.

სანიმუშოდ დაამუშავეს წელს ვენახები შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ცისკარაშვილი), ახალსოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორდენსანი კ. შეყილაძე), ახალსოფლის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. მაისურაძე), გავაზის კოლმეურნეობა „დანთიადში“ (თავმჯდომარე ორდენსანი დ. იმედაშვილი), წიწყანაანთქარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ჩიბრიაშვილი), სანავარდოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ო. გოგოლაშვილი).

ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ისეთი სამუშაოების შესრულება შესძლო მევენახეობის დარგში, რაც ომამდელ პირობებშიც ძნელად მოეჩვენებოდა კაცს. შილდის კოლმეურნეობა „მესვეურს“ (თავმჯდომარე გ. ცუკოშვილი) 72 ჰექტარზე გადაემეული ზეარი აქვს. მას აქამდე ვენახი მავთულზე არ ჰქონდა გაბმული, ვაზებს სარებზე (ჯიგოებზე) აკავებდა. კოლმეურნეობას ყოველწლივ 300.000-ზე მეტი ჯიგოს მოჭრა უხდებოდა თოვლსა და ყინვაში. ეს სამუშაო წლითიწლობით მეორდებოდა. ტყეც ჩანგდებოდა და აუარებელი მუშახელი და საკონელი ცდებოდა ამ საქმეზე. წელს მესვეურელებმა ამოდენა ზვრისათვის საკმაოდ მავთული შეიძინეს. ნეკრესის სერებზე, მიუვალ ღრანტეებში 6.000 ცალი ცილამპალი მუხის ბოძი და 35.000 მწკრივის სარი მოსჭრეს და საურმე გზამდე ჩამოზიდეს. დიდი და პატარა დაეხვია და, სანამ საგაზაფხულო სამუშაოები გაიშლებოდა, 72 ჰექტარი ვენახი მავთულზე გააბეს.

და განა მარტო წლევანდელი მოსავლისათვის, ობრძოლენ ასეთნი თავდადებით, საკვლავისო ფიქრი და ზრუნვა აფრთოვანებდათ. —მუშახელი მოგვაკლდა, სამუშაომ იმატა. მაგრამ ჩვენი შვილები, ძმები, მამები, ქმრები ვაჟკაცურად იბრძვიან და ამარცხებენ მტერს და ჩვენც აქ ვაჟკაცობა უნდა გამოვიჩინოთო—ამბობენ სამუშაოს შესეული კოლმეურნენი—ქალები და კაცები.

მათ მტკიცედ სწამთ, რომ შორს, არ არის ის დრო, როცა გმირი წითელი არმია საბოლოოდ მოსპობს და გაანადგურებს ვერაგ მტერს. კვლავ ჩადგებიან საწნახლებში ომგადახდილი ხელიხელჩაკიდებული, დაკვალთული ბიჭები, კვლავ დასძახებენ, დაგუგუნებენ ძველ ქართულ სიმღერას:

„წუთისოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია“.

ალ. ჯეიშვილი

საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რიონჰესის ათი წლისთავისადმი

ქუთაისი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). რიონჰესელებმა ზეიმით აღნიშნეს საქართველოს ენერგეტიკული გიგანტის — სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელადგურის მუშაობის სახელოვანი ათი წლისთავი. 11 აგვისტოს რიონჰესის საზაფხულო კლუბში თავი მოიყარეს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, ქუთაისის საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ შორის იყვნენ ამხ. ვ. გოგუა, გ. ნარსია, ა. მაღრაძე, კ. ასლანიკაშვილი, ნ. იმნაიშვილი და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა რიონჰესის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. მ. კვანტალიანმა.

საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ოვაციებით იქნა არჩეული ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და მისი უახლოესი თანამებრძოლები — **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიკოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი,** აგრეთვე ამხანაგები — **ჩარკვიანი** და **ბაქრაძე.**

განვლილი ათი წლის განმავლობაში რიონჰესის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სადგურის დირექტორი ამხ. ლ. გაჩეჩილაძე.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის (საქენერგო) მმართველმა ამხ. ვ. დევიძემ, რომელმაც საქართველოს ჰიდროელადგურებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რიონჰესელებს გადასცა საქენერგოს გარდამავალი წითელი დროშა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლომძე, რიონჰესელი კომკავშირელების წარმომადგენელი ა. ჭარხალაშვილი, ზაჭესის მთავარი ინჟინერი ლ. აბაშიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ამხ. კეკელიძე, ინჟინრები დ. შავგულიძე და ნ. კობახიძე და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ სამობიი და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში ამხ. ვ. გოგუამ, რომელიც სიტყვით გამოვიდა, წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მილოცვა რიონჰესელებისადმი.

საზეიმო სხდომამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო წინადადება დიდი **სტალინისათვის** მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა აგრეთვე ქართველი ხალხის საამაყო შვილს — **ლ. პ. ბერიას** და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარს **ამხ. ფომერინს.**

გაჩდამავალი წითელი დროშების გადაცემა

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს მიწსახკომმა საგაზაფხულო თესვის გეგმის დაწესებულ ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. დროშის გადაცემასთან დაკავშირებით შრომის კოლმეურნეობაში შეიფდა მიტინგი. კოლმეურნეობას დროშა გადასცა და შემდგომი წარმატება უსურვა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გ. ალავიძემ.

ბრიგადირებმა პ. ჯაბუამ, შ. ხომერიკმა, ნ. ჩაიძემ, ვ. ხომერიკმა, ს. ხომერიკმა, კოლმეურნე ც. მეკრელიშვილმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი და განაცხადეს, რომ წარმატებით შეასრულებენ დავალებებს ჩაისა და ციტრუსების დარგში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენსანმა მ. ორაგველიძემ სთქვა: საპატიო ჯილდო გვაკისრებს უკეთესად ვიმუშაოთ. პირობას ვიძლევით ხაუკეთესოდ მოვემზადოთ ციტრუსებისა და ეროფლიანი კულტურების მოსავლის, ასაღებად, წელს გეგმის გადამატებით სახელმწიფოს ჩავაბაროთ 20.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე

ლ. ლოლაძე

* * *

ზოთელფყარო („კომუნისტის“ საკ. კორ.). მეცხოველეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომას“ მიენიჭა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამასთან დაკავშირებით შეიდგა კოლმეურნეობა „შრომის“ წევრთა კრება.

კოლმეურნეობას დროშა გადასცა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ მეცხოველეობის დარგში ამხ. კვესიტაძემ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. კიკილაშვილი, რომელმაც განაცხადა: კოლმეურნეობამ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ახალი წარმატება. მთელ მუშაობას ისე წარმართავთ, რომ ხელიდან არ გავუშვათ გარდამავალი წითელი დროშა.

ახალი ვალდებულებები აიკისრეს მეცხოველეობის ფერმის გამგე ჯ. ბოსტოღანაშვილმა, ბრიგადირმა ბენაშვილმა, ზოოტექნიკოსმა ავალიშვილმა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი შ. გელაშვილი. მან კოლმეურნეებს მოუწოდა წელს კიდევ უფრო გაზარდონ პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

შ. მოლაშვილი

გეგმის შესრულება

საჩხერის რაიონმა ვადაზე ხუთი თვით ადრე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, ცხვრისა და თხის 103,7 პროცენტით, ღორის — 112,8 პროცენტით, ცხენის — 107,6 პროცენტით.

მეფრინველეობის განვითარების გეგმა შესრულებულია 110,3 პროცენტით, მეფუტკრეობისა—100,5 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანი **გოგსაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ქრისტესაშვილი**

მამაცი საბჭოთა მფრინავები. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ინასარიძე, ი. პეტროსიანი, დ. ჯაბიძე, გ. თვაური, ა. ახვლედიანი, ა. ესანჯია, ნ. ცირეკიძე.

სტალინური შევარდნები

1.

ომი რომ დაიწყო, გიორგი ინასარიძე მფრინავი-გამანადგურებელი იყო და ინსტრუქტორად მუშაობდა. საბრძოლო ნათლობა მან „ილიუშინ-2“-ზე მიიღო.

ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა ინასარიძეს და იმ გვარდიულ კოლექტივს, რომელშიც იგი იბრძოდა. მოიერიშეებს დაევალათ დებომბათ მდინარეზე გადასასვლელი და მოესპოთ გერმანელთა ჯგუფი, რომელიც სოფელში გამაგრებულიყო. ნაცად მფრინავთა შორის იყო ინასარიძეც. იგი პირველად ასრულებდა საბრძოლო დავალებას.

თვითმფრინავები ტტრის მძაფრ საზენიტო ცეცხლში მოხვდნენ. ზედიზედ მოჰქონდათ იერიშები „მესერშმიტებს“. ინასარიძემ ბომბების ჩამოყრაც ვერ მოასწრო, რომ მის კაბინს ორი ყუმბარა მოხვდა. ერთმა მათგანმა გარიომეტრი დაამსხვრია. პილოტს მარჯვენა ხელში ჩაესო ნამსხვრევი. მაგრამ ახალგაზრდა მფრინავი არ დაიბნა. იგი მოხერხებული მანევრირებით თავს არიდებდა საზენიტო ქვემეხების ცეცხლს და, როგორც კი ქვეყვეთ სამიზნეო გამოჩნდა, ბომბები დააყარა მას.

აეროდრომზე რომ მოვიდა, ძველ მფრინავებს გაუკვირდათ, როგორ მოახერხა ინასარიძემ ასე დაცხრილული მანქანის მოყვანა.

ნეველის ჩრდილოეთით მდებარე, რაიონში საბჭოთა ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და თავისუფლებდნენ ათობით დასახლებულ პუნქტებს. სახმელეთო ნაწილებს ავიაცია ეხმარებოდა. მაგრამ ამინდი აქ არ ანებივრებდა მფრინავებს: ღრუბლები, ქარიშხალი, თოვა, ნამქერი ხშირი მოვლენა იყო. ასეთ ვითარებაში ჩატარდა ფრონტის სახელგანთქმული მფრინავის ვვარდიის ლეიტენანტ ინასარიძის ორმოცდამერვე გიერენა ტტრის ეშელონებზე იერიშის მისატანად. ოთხმა „ილიუშინმა“ მალე მიაღწია ფრონტის ხაზს. მფრინავებმა ეშელონები გაანადგურეს და უკან ბრუნდებოდნენ, რომ მარჯხნიდან გამოჩნდა გერმანელთა ოთხი თვითმფრინავი. ჩვენმა მოიერიშეებმა მიიღეს ბრძოლა. მსროლელებმა წარმატებით მოიგერიეს პირველი იერიში. მაგრამ ფაშისტი სვავები კვლავ მობრუნდნენ. მაშინ ინასარიძემ გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. მან მიიტანა იერიში მტრის ავიაკამანადგურებლებზე. ერთ-ერთი გერმანელი, რომელიც მფრინავ იანკოვსკის გამოეკიდა, ინასარიძემ ნიშანში ამოიღო და ხანგრძლივი ჯერით გაანადგურა. მეორე გერმანელი ჩამოგდო თვით იანკოვსკიმ. მოიერიშეებმა გაიმარჯვეს ამ საპაერო შეტაკებაში.

მამაცი მფრინავი ვ. ინასარიძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით და სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

2.

ლენინგრადი მტრის რკალში იყო მოქცეული. გმირ ქალაქს ყოველდღე ესხმოდნენ თავს მტრის თვითმფრინავები და ცდილობდნენ ბომბები დაეყარათ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.

ავიარგოლის მეთაურმა მფრინავმა-გამანადგურებელმა დ. ჯაბიძემ მიიღო ცნობა, რომ მტრის 11 ბომბდამშენი მოემართება ქალაქისაკენ. ჯაბიძე ორი თვითმფრინავის თანხლებით ქალაქის შორეულ მისადგომებზე დახვდა მტერს.

ეს მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. სამი თერმიტის წინააღმდეგ... აქ არ კმაროდა ბრძოლის ჩვეულებრივი ხერხები. საჭირო იყო უდიდესი მამაცობა, თავგანწირვა, ინიციატივა, ცოდნა და ხასიათის სიმტკიცე. ჯაბიძემ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება — იგი შეურდულივით გაექანა მტრის „იუნკერსისაკენ“. გატარნული თვითმფრინავი ძირს დაეწარცხა. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. წუთსაც არ გაევლო, რომ ჯაბიძე მეორე „იუნკერსს“ მოეკიდა თავზე და აიძულა იგი ძირს დაშვებულიყო. თვითმფრინავი ბიწას დაეჯახა და საკუთარ ბომბებზე აფეთქდა.

ამ ბრძოლაში ჯაბიძის რგოლმა ჩამოაგდო მტრის 5 თვითმფრინავი. დანარჩენები სამარცხვინოდ გაბრუნდნენ უკან.

დონბასის, ველიტოპოლისა და ნიკოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჯაბიძემ მტრის 6 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ყირიმის განთავისუფლებისათვის შეტევაზე გადასულ ჩვენს ნაწილებს, გერმანელები გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ერთ-ერთი ნაწილის წინააღმდეგ გერმანელებმა გამოუშვეს 20 ბომბდამშენი, რომლებსაც 6 ავიაგამანადგურებელი ეცავდა. მათ ჰაერში შეებნენ საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი მაკოესკი, კაპიტანი ნიკიშინი, უფროსი ლეიტენანტები ჯაბიძე და ფილიპოვი. ამ ომთანასწორო ბრძოლაში სტალინური შევარდნები გმარჯვებული გამოვიდნენ. მტრის ორი სვავი ჩამოაგდო მაკოესკიმ, ორი—ჯაბიძემ, ხოლო თითო-თითო ნიკიშინმა და ფილიპოვმა. გერმანელთა დანარჩენი თვითმფრინავები უკან გაბრუნდნენ. ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჯაბიძემ მტრის 6 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ჯაბიძის ანგარიშზე სულ ითვლება მტრის 14 ჩამოგდებული თვითმფრინავი. ამათში არ შედის ის 3 თვითმფრინავი, რომლებიც ჯაბიძემ ჯგუფურ ბრძოლებში ჩამოაგდო.

წითელი დროშის ორდენით და სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოვა სამშობლომ მამაცი მფრინავი.

3.

1939 წელს სამტრედიელმა ჭაბუკმა ალაკი ფილიპეს-ძე ესანჯიამ განცხადებით მიმართა წითელი არმიის სარდლობას გაეგზავნათ სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. სამამულო ომი დაიწყო. ესანჯია უკვე სამხედრო მფრინავი იყო.

თავისი ცოდნა ესანჯიამ საუკეთესოდ გამოიყენა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მის სარეისო წიგნაკში აღნიშნულია 375 საბრძოლო გაფრენა. თვითეულ მის გაფრენას განადგურება და სიკვდილი მიჰქონდა ფაშისტი არამზადებისათვის.

„ამას წინათ, — სწერს ესანჯია ფრონტიდან თავის ძმას, — დავალება მომეცა ბაჯრავობა გამეწია ძვირფასი ტვირთით დატვირთულ გემთა ქარავნისათვის. ამ ქარავანს ყოველ საათს თავს ესხმოდნენ ფაშისტთა თვითმფრინავები.

— არის ბადრაგობა! — მივიღეთ დავალება და მზეკილით ავიჭერით ჰაერში.

რამდენიმე წუთის შემდეგ დავეწიეთ ბეგებს, რომლებსაც გაშლილ ზღვაში თავს დასტრიალებდნენ მტრის საჰაერო მეკობრეები. საქე გავასწორეთ და მივეკარ სისწრაფით ვეკვეთეთ ფაშისტებს. ყოველი წამი მანძილს ახლოებდა, ახლა საქმე მამაცობაზე და უნარზე იყო დამოკიდებული. ვინც გაუძლებდა, გამარჯვებაც იმას დარჩებოდა.

საშინელი სისწრაფით მივექანებით მტრისაკენ, ის კი ჩვენი მანქანებისაკენ მოეშურებოდა. კიდევ წუთი, და დაეჯახებით ერთმანეთს... მაგრამ ჩვენ არ შეშინებულვართ. არამც თუ არ შევცვალეთ გეზი, არამედ უფრო ეუმატეთ სიჩქარეს და თავბრუდამხვევი სისწრაფე განვავითარეთ.

მტერმა ვერ გაუძლო, უკან გაბრუნება მოინდომა. მაგრამ გვიანღა იყო. გერმანელთა რამდენიმე მანქანა შავ კვამლში გაეხვია და ქვასავით დაეშვა ზღვის უფსკრულისაკენ.

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა“

ალაკი ესანჯიამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მის ანგარიშზე მტრის მრავალი ჩამოგდებული თვითმფრინავი, ჩაძირული გემი, ათობით განადგურებული ეშელონი ითვლება.

წითელი დროშის ორი ორდენი და მედალი „სევასტოპოლის დაცვისათვის“ მიიღო ესანჯიამ თავისი ვმირული ბრძოლებისათვის.

4.

წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენი, ბოგდან ხმელნიცკის მე-3 ხარისხის ორდენი, მედლები „მამაცობისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“ და მებრძოლის სიამაყე — გვარდიის ნიშანი მეტყველებენ გიორგი თვაურის მამაცობასა და საბრძოლო უნარზე.

— კავკასიელი არწივი დაბრუნდა,—იტყოდნენ ხოლმე მფრინავები, როდესაც ლეიტენანტი გიორგი ივანეს-ძე თვაური საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ აერთდრომზე დაეშვებოდა. ბევრი შეუბოვარი ბრძოლა გადუმართავს გერმანელი სვავებისათვის ქართველ სტალინურ შევარდენს.

...მტერი სტალინგრადისაკენ მოიწევდა. მდინარეზე გერმანელებმა ხიდი ააგეს თავიანთი ჯარების გადმოსაყვანად. ლეიტენანტ გიორგი თვაურის რგოლს დაეკალა ამ ხიდის აფეთქება.

ხიდს პირველად თვაურმა დააყარა ბომბები. მეწინავე მფრინავს დანარჩენებიც მიჰყვნენ. დაბლიდან აფეთქებათა ტრიალი მოისმა. ცაში აიტყორცნა მტრის მიერ აგებული ხიდის ნამსხვრევები, ტანკების ნაწილები, ადამიანები...

ფაშისტთა 9 თვითმფრინავმა უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრა ჩვენს მფრინავებს. თვაურს მტრის 4 თვითმფრინავთან მოუხდა ბრძოლა. მას გარს შემოერტყნენ ფაშისტი სვავები და უნდოდათ აეძულებინათ ძირს დაშვებულიყო, რათა ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში. თვაურის ტყვიამფრქვევის ზუსტმა ჯერმა ქეასავით ჩაგდო ძირს ერთი ფაშისტი სვავი, თვაურმა მარჯვედ წამოუარა მტერს და ერთი თვითმფრინავი კიდევ დაანარცხა მიწაზე. ამ ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი, დანარჩენები გაფანტეს.

ბრძოლის დროს თვაური მარჯვენა ხელში დაიჭრა და ყუმბარის ნატეხმა კბილები ჩაუმსხვრია. მაგრამ ქართველ ვაჟკაცს ბრძოლის დროს ხელიდან არ ფაუშვია საჭე. მტერი, რომ მოიგერია საჭირო იყო საკუთარ აეროდრომზე მისვლა. დაჭრილი მფრინავი სისხლისაგან იცლებოდა, თვალი უბნელდებოდა, გონება ეკარგებოდა. თვითმფრინავმა უწესრიგოდ იწყო დაშვება. მიწამდე რამდენიმე ათეული მეტრიღა დარჩენილიყო, თვაური გონს რომ მოვიდა, და ცალი ხელით თვითმფრინავის სვლა გაასწორა. მანქანა ერთ ავარდა ჰაერში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მშვიდობიანად დაეშვა თავის აეროდრომზე.

სტალინგრადი, ორიოლი, ჩერნიგოვი, კიევი და უკრაინის მრავალი სხვა ქალაქი — აი ის საბრძოლო გზა, რომელიც განვლო მამაცმა მფრინავმა, ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა გიორგი თვაურმა.

5.

შალვა ქოზაევმა დაამთავრა სტალინირის ბედაგოგიური ტექნიკუმი. მას ელოდა მასწავლებლის შვიდობიანი შრომა. მაგრამ ქოზაევმა საფრენოსნო საქმე არჩია.

1940 წელს ოოკავშირის საგზურით იგი მივიდა აეროკლუბში. მალე გაიარა სწავლების თვეებმა. გამოცდების „ფრიადზე“ ჩაბარების შემდეგ ქოზაევი დატოვებულ იქნა აეროკლუბში ინსტრუქტორად. დაიწყო საინტერესო, წარმატებული მუშაობა. შალვას ხელმძღვანელობით ათობით კომკავშირელმა შეისწავლა საფრენოსნო საქმე.

დაიწყო სამამულო ომი. შალვა ქოზაევმა დაიკავა ადგილი საბრძოლო თვითმფრინავზე. იგი თავისი მანქანით ურთულეს დავალებებს ასრულებდა. მან რამდენიმე გაუმჯობესება შეიტანა ღამით ფრენის ხერხებში, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით.

ერთხელ საბრძოლო დავალების შესრულების დროს ქოზაევის თვითმფრინავს ყუმბარა მოხვდა და ცეცხლი წაეკიდა. მფრინავმა ყველა ზომა მიიღო ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ ვერ შესძლო. დაჭრილმა ბილოტმა ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი მიწაზე დაუშვა. მას შემოეხვივნენ გერმანელები. ქოზაევს უკვე კომბინეზონზე ეკიდებოდა ცეცხლი, მაგრამ არ მიატოვა ცეცხლმოკიდებული მანქანა და სროლა აუტეხა ფაშისტებს. ერთი ტყვიაროომ დარჩა, მამაცმა მფრინავმა თვითონ მოისპო სიცოცხლე. მხოლოდ მაშინ შესძლეს გერმანელებმა მასთან მისვლა.

მტკიცე ბოლშევიკმა, მგზნებარე პატრიოტმა შალვა ქოზაევმა ბოლომდე შეასრულა თავისი ვალი საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

6.

ვვარდიის ზემდეგი არჩილ ტრიფონის-ძე აბელედიანი, ქუთაისის რაიონის სოფელ ღონორისიდან, ომამდე ტყიბულის მაღაროში მუშაობდა მნვრეველად. ომის დღეებში იგი მოიერიშე მფრინავი გახდა. მან თავი ისახელა განსაკუთრებით სტალინგრადისათვის ბრძოლაში. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ბორის გიორგის-ძე მალინოვიჩის მამა თბილისელი რკინიგზელია. თვით ბორისი დაბადა და გაიზარდა თბილისში. 1941 წელს მან დამთავრა საავიაციო სკოლა. იბრძოდა სტალინგრადისათვის, კიევისათვის, ყირიმისათვის. მას 135 საბრძოლო გაფრენა აქვს. დაჯილდოებულია სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“.

სამგზის ორდენოსანი კაპიტანი ივანე სერგოს-ძე პეტროსიანი ბათუმელია. სამხედრო-საჰაერო ფლოტის კადრის ოფიცერმა სამამულო ომის ფრონტებზე მრავალი რთული ოპერაცია ჩაატარა. იგი ბომბავდა მტრის შენაერთებს, მიდიოდა დაზვერვაზე. მას მრავალი საჰაერო ბრძოლა გაუმართია მტრის ჯარბი ძალებისათვის. აქვს 42 შორეული საბრძოლო გაფრენა. წითელი დროშის ორი ორდენი და სამამულო ომის I ხარისხის ორდენი ამშვენებს ივანე პეტროსიანის მკერდს.

ნიკოლოზ ცირეკიძე განთქმული მფრინავის ოთარ ჩეჩელაშვილის თვითმფრინავზეა მბრძოლელად. მის მიერ მარჯვედ ნასროლ ტყვიებს არა ერთი და ორი ჰიტლერელი სვავი ჩამოუგდია. ნიკოლოზს არა ერთხელ და ორჯერ დაუბომბავს მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ხიდები და რკინიგზის ეშელონები. ც

ლ. ბერიას სახელობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი. **ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ:** (მარცხნიდან მარჯვნივ): პიონერთა მწკრივი; ნატურალისტი ნ. ჯალაღანია მეცადინეობას ატარებს ნატურალისტთა წრეში; პედაგოგი კავკასიძე წიგნს უკითხავს პიონერებს; პიონერები ვასიკო ახვლედიანი (მარჯვნივ) და გუგა ბეროძე ჭადრაკს თამაშობენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲗᲐ ᲡᲐᲔᲥᲡᲙᲐᲕᲔᲓᲘᲪᲘᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები გადავიდნენ ლუარაზე და წინ წაიწიეს ნანტის სამხრეთით 10 მილზე მდებარე პუნქტამდე. გრძელდება ბრძოლები ნანტისა და ანჟერის რაიონებში. ბრეტანის ნახევარკუნძულზე მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ ინარჩუნებს უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტის, მცირე ნაწილს სენ-მალოში. დინარში გაფფრებული ბრძოლები სწარმოება. ბრესტსა და ლორიანში ვდგომარეობა არ შეცვლილა.

ნორმანდიაში მტერი შეუპოვარ თავდაცვას განაგრძობს მორტენ-ვირის, სენტორში. მოკავშირეთა ჯარების იერიშები გერმანიის ჯავშანსატანკო ნაწილების შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდება მორტენის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, უფრო ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს გატემოს იქით ვანჟონის მიდამოებამდე გატემო-ტენშერეს გზატეხილზე. ვირის სამხრეთით დაკავებულია ახალი ტერიტორია. მტრისაგან გაწმენდილია ტიერი-არკენტ-და სენ-მარტენ-სალენი. ქალაქ ვიმონში ბრძოლები გრძელდება.

9 აგვისტოს შეაღამისათვის ერთი დღეღამის განმავლობაში დასავლეთ სექტორებში, უმთავრესად ბრეტანში, ტყვედ წამოყვანილია საერთო რიცხვი 4.822 კაცს შეადგენდა.

განვლილი დღის მანძილზე აქტიურად მოქმედებდნენ მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენი ავიაციის დიდაღი შენაერთები.

ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 აგვისტო (საკდესი). იტალიაში ჯოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მე-8 არმიის ნაწილების მიერ მდინარე ჩეზანოს გადალახვის შემდეგ იტალიაში ფრონტის მთელ მანძილზე საომარი ოპერაციები პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

9 აგვისტოს ღამით „კომანდოსის“ რაზმმა მოსპო ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა იუგოსლავიის ნაპირებთან მდებარე კუნძულებს კერსოსა და ლუსინოს. ამ ოპერაციაში წამოყვანილია ტყვეები.

გუშინ ავიაციის მოქმედება არახელსაყრელი ამინდის გამო შეზღუდული იყო.

ᲛᲔᲦᲔᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲜᲖᲐᲜᲨᲘ ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲜᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ, 12 აგვისტო (საკდესი). როგორც შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ იუწყება, პოზნანში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ჰიტლერელ ხელისუფალთა მიერ სამაგრეების მშენებლობაზე ჰობილიზებულ მოსახლეობასა და ჰიტლერულ პარტიის მოხელეთა შორის. ჰიტლერიანელების ჩასახშობად გერმანელებს სს-ელთა რაზმების გამოძახება დასჭირდათ. ბევრი პოლონელი, რომელიც მობილიზებული იყვნენ სიმაგრეთა მშენებლობაზე, პარტიზანთა რიგებში შევიდა.

ᲡᲐᲙᲝᲠᲘᲪᲘᲝ ᲩᲠᲩᲘᲚᲐ-ᲓᲐᲪᲐᲕᲘᲗᲘᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ სტოკჰოლმელი კორესპონდენტი რომელიც ამოწმებს სანდო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ ჟერმენის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში სწარმოებს მრავალრიცხოვანი საპოლიციო ჩხრეკა-დაპატიმრებანი ბანაკებსა და სამხედრო დაბებში. ჩხრეკა-დაპატიმრებებში მონაწილეობას იღებდნენ გესტაპოელებისა და სამხედრო პოლიციის რაზმები. დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი უფროსი და უმცროსი ოფიცრები, განსაკუთრებით ადმინისტრატიულ სამხედრო პერსონალიდან. ასეთიკე ჩხრეკა-დაპატიმრებანი წინათ სწარმოებდა გერმანიის ჩრდილოეთ რაიონებში, მათ შორის შტეტინში, ლიუბეკსა და როსტოკში.

ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲭᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲗᲐᲜ

რამდენი რამის მოწმეა ამაყად აღმართული ეს მთები. ვინ იცის რამდენჯერ შეღებილა წითლად ამ მდინარის ტალღები. მტკვარი ბუტბუტებს, თითქოს წარმტაც მოთხრობას ჰყვება იმ თავგანწირულ ბრძოლებზე, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა აქ, ტაშისკარის მიდამოებში ჩვენს ქვეყანაში უაჩალურად შემოჭრილ მტერს გაუმართეს.

სამი საუკუნის წინათ ამ მიდამოებს ომის ყიჟინა აზანზარებდა და გიორგი სააკაძის ომახიანი ხმა ქართველ ვაჟკაცებს გამორჯვებისაკენ მოუხმობდა.

ახლა, როცა დალით ბორჯომის ხეობიდან აკრეფილი ნისლი ცის უსაზღვროებაში ბოლოვით გაიფანტება და მთებზე გადმომდგარი მზე პირველ სხივებს ტაშისკარის მიდამოებს სტყორცნის, ჰაერს აპობს საყვირის მუქქარა ხმა. ეს ომის საყვირი რადა. ჯი ბერიას სახელობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში დასასვენებლად მყოფ ბავშვებს მოუხმობს. გაისმის საყვირის ხმა და ტაპილი ძილისგან იღვიძებს, ორასი ბიჭენა.

ცოცხლდება ბანაკი. ფართო ეზოში ყრიამფლით გამოეფინებიან ბავშვები და დილის ვარჯიშს იწყებენ. ბავშვთა მოქნილი სხეულები ფიზკულტურულ ალეთებს ასრულებენ.

საქართველოს, რომელი კუთხიდან არ წამოსულან ეს ბიჭუნები, ფრონტელთა შვილები, სწავლის ფრიადოსნები. აგერ მოკრძალებული ბიჭუნა, ფრიადოსანი მოსწავლე პეტრე ნიორაძე. იგი ზესტაფონიდან ეწვია ბანაკს. პეტრეს დედა სკოლის დირექტორია და ასობით ზრდის მასთანა ბავშვებს. ეამა კი, საყვარელი მამილო, ფრონტზეა, სამხედრო ექმია და სიცოცხლეს უბრალებს დაპრალ მებრძოლებს, რომ მის პეტრეს, საბჭოთა ბავშვებს მუდამ ეზიანი და ულრუბლო ცხოვრება ჰქონდეთ. პეტრეს უყვარს ექსკურსიები, ისტორიული ადგილების დათვალიერება, ბუნებას წიაღის შესწავლა, ინენერობაზე ოცნებობს, დარწმუნებულია მაშინ უფრო მეტად გამოადგება სამშობლო ქვეყანას.

მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუდან ჩამოსულა პატარა ზაქარო მახარაძე.

— ჩემი მამიკო ფრონტზეა. უნდა წერილი მივწერო, თუ რა საინტერესოა ბანაკში ცხოვრება, როგორი მზრუნველობით გვეპყრობიან აქ. ჩემი პატარა ძმა რეზოც აქ არის. მამიკო უფრო დამშვიდებული იქნება, მტრის წინააღმდეგაც უფრო გმირულად იბრძოლებს.

ვარჯიშის შემდეგ ბავშვები საკუთარ ლოგინებს ალაგებენ. ეს შრომითი ჩვენის დაწერგვის ერთი ელემენტია. მორჩნენ დილის ტუალეტს და სირბილით ისევ ეზოში გამოიჭრნენ. ხაზზე მოეწყვნენ. იწყება დღის რეჟიმის ყველაზე საინტერესო და საზეიმო ნაწილი. შტაბების უფროსები რაზმების უფროსებს პატაკს აძლევენ: რაზმში ყველაფერი რიგზეა, ყველა ბავშვი ადგილზეა. რაზმის ხელმძღვანელები ბანაკის უფროს მორიგეს უპატაკებენ. პიონერულ ტრიბუნაზე დგას ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი, იგივე უფროსი პედაგოგი თინა კავკასიძე. ბანაკის მორიგისაგან პატაკის მიღების შემდეგ იგი ზარიანი ხმით შესძახებს!

— მისმინე, ბანაკო! პიონერებო, ლენინ-სტალინის საქმისათვის იყავით ზეგდ!

— მზად ვართ!—გაისმის ბავშვთა ერთსულოვანი შეძახილი. ეს ხმა ბანაკის პირდაპირ აღმართულ მთის ფერდობებს აწყდება და მისი გამოძახილი კვლავ უკან ბრუნდება. საღამოს დაბლა დაშვებული ბანაკის ალიფერი ალამი ნელ-ნელა მისცურავს მაღლა. ეისი გაშლილი კალთები გამველელებს ამცნობენ, რომ ამ მიდამოებში ისვენებენ ჩვენი ცხოვრების ყვავილები.

საუზმის შემდეგ სარაზმო მუშაობა იწყება. ბანაკის მორიგე რაზმი წევრები ადგილებს იკავებენ. ორი ბავშვი ბანაკის ჭიშკართან დგება. უნებართვოდ ბანაკში შესვლა აკრძალულია. გინდათ ნახოთ ბანაკი? კეთილი ინებეთ და ნებართვა აიღეთ.

მეორე რაზმი, პიონერხელმძღვანელ ე. დადიანისა და პედაგოგ ე. ასათიანის თანხლებით, მტკვარზე საექსკურსიოდ მიდის. მდინარე უნდა შეიისწავლონ, ისწავლონ ცურვა. თევზები დაიჭირონ და ბანაკის აკვარიუმში ჭათზე დაკვირვება მოახდინონ.

მესამენი ტყეში მიდიან, ბალახებს, მცენარეებსა და მწერებს მოაგროვებენ, მათგან კოლექციებს შეადგენენ.

ბანაკში დარჩენილმა ერთმა რაზმმა მხატვრული კითხვა მოაწყო. უშიალო განცდებით, გრძნობით კითხულობენ ბავშვები სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს. ეს ბავშვთა საყვარელი თემაა. მათი დიდი ნაწილი საბედრო კარიერაზე ოცნებობს. დასტელო, ფურწუმია, ადამია, გეგეშიძე—აი ვინ არიან ბავშვთა ოცნების გმირები.

აგერ მეოთხე რაზმის პიონერები პედაგოგ ვ. ბიკშანოვის მეჩიდრო რკალად შემორტყმიან და ვის საუბარს ყურადღებით უსმენენ.

— აი როგორი იყო დიდი ბელადების ბავშვობა და ყრმობა, აი როგორ სწავლობდნენ და მოშაობდნენ ისინი!—ასრულებს პედაგოგი საუბარს. წუთით სიჩუმე დამყარდება. ბავშვების გონება დიდმა და წარმტაცმა ოცნებამ დაიმორჩილა. პედაგოგს კარგად ესმის პატარების სულიერი ვანწყობილება: მათ სურთ მიბაძონ ბელადებს!

ამაზე ლაპარაკობდა პატარა ჟორაც.

— გუშინ პიონერული კოცონი გავმართეთ. მისთვის სამი დღე ვემზადებოდით. ტყიდან ფიჩხი მოვიტანეთ. ო, რა ლამაზი კოცონი დავანთეთ! მისი ალი ზეცას სწვდებოდა, და მერე იცით ვინ გვეწვია? ძია სტალინის ბავშვობის მეგობარი პეტრე კაპანაძე. იგი სტალინის ბავშვობაზე გველაპარაკა. ძია სტალინის ლექსებიც წაგვიკითხა. ვეც ვიცი ეს ლექსები, გინდა წაგიკითხო?

7 წლის ილუშას, რომელიც აქამდე დაფიქრებული ეჯდა, სახე გაუბრწყინდა.

— მეც ვნახე, განა, ძია პეტრე მან გითხრა—ძია სტალინი ყველას სჯობნიდაო სწავლაშიც და თამაშობაშიც. ლახტობანას თამაში უყვარდაო. მეც ვთამაშობ ლახტობანას. მტკვარზეც დავდივარ, ცურვაც ვიცი.

საზოგადოებრივ ვერანდაზე, სადაც სასადილოა მოთავსებული, თეთრი ქათქათა სუფრებით გადაფარებულ მაგიდებს შორის სამზარეულოს მოსამსახურე ქალები და მორიგე პიონერები დაფუსფუსობენ. მუშაობის შემდეგ ბავშვებს გაწყობილი სუფრა უნდა დაახვედრონ. ეს უკვე მეორე საოზმეა.

მესამე რაზმს ექმია ესაუბრება სანიტარიისა და პირადი ჰიგიენის მნიშვნელობაზე, ბავშვები მას გულისყურით უსმენენ და თან საკუთარ ტანსაცმელსაც შეითვალიერებენ. ექმი მათ ვერ უსაყვედურებს. ყველას სუფთად აცვია, ხელ-პირი დაბანილი აქვთ, თმებიც კოხტად შეკრეჭილი და დავარცხნილი. პედაგოგი ნ. ჯალაღანია VI რაზმის პიონერებს ქვიშხეთის მიდამოების ფლორის შესახებ მოუთხრობს.

— მასწავლებელო, ასეთი მცენარეები სხვა ადგილებშიც ხარობენ, მე მინახავს ისინი. დამაგროვებია მათი ნიმუშები,—ლაპარაკობს ერთი.

— სამკურნალო მცენარეები რაჭაშია ბევრი. ჩვენც ხომ უნდა შევაგროვოთ ისინი?—კითხულობს მეორე.

მასწავლებელი მას დადებითად უპასუხებს და საუბარს აგრძელებს.

დღის სამ საათზე ბანაკში თავისუფალი საათი იწყება. აგერ უმცროსებმა წრე შეკრეს. ახმაურდა ფოლი, მას აჰყვა ბავშვთა შეწყობილი ტაში. წრეში შეიჭრნენ 7 წლის ბაჭუნები ტოლუში და კიკნაძე, ზმრები გაშალეს და გატაცებით ცეკვავენ. პატარებს მოზრდილებიც აჰყვნენ...

საღამოს შემდეგ ბანაკს სიჩუმე მოიცავს. ანდდიდ წყნარი საათი. ისვენებენ ბავშვები. ბანაკის უფროსი ამბ. ქ. გეგელია, პედაგოგები, ბანაკის ექიმი, პიონერხელმძღვანელთა მოადგილეები საძინებელ ოთახებს ჩამოუვლიან, ამოწმებენ წესრიგს, ბავშვთა ჯანმრთელობას.

საღამოს ისევ გაიცოცხლდება ბანაკი. ვახშმის შემდეგ მასობრივი თამაში იმართება. „თვალხუჭუნა“, „საქონელა“, „ვინ გსურს“, „ეს ხელსახოცი ვისია“—და ათასგვარი სხვა გასართობი სცენის ერთმანეთს, ბავშვებთან ერთად თამაშობენ პედაგოგები, ხელმძღვანელები.

უნდა გენახათ ბავშვთა სიხარული და აღტაცება, როცა ბანაკში თვითმმართველობის დღე გამოცხადდა. ამ დღეს ბანაკის მთელი მოსამსახურე პერსონალი—ბანაკის უფროსიდან მზარეულამდე ბავშვებმა შესცვალეს. ბანაკის უფროსად მამია სტურუა დაინიშნა, უფროს პიონერხელმძღვანელად—რეზო როინინაური. ბავშვებმა შესცვალეს ექიმი, მისი თანაშემწე, მზარეული—ძია რუბენი და სამზარეულოს მოსამსახურე ქალები, ჩაიბარეს საწყობი.

თეთრბალათგადაცმულმა „ექიმმა“ ნოდარ მეტრეველმა გამოცდილი ექიმის გამომეტყველებით ჩამოუარა ბავშვთა საძინებელ ოთახებს. ამ დღეს გამომქღევნდა ბავშვთა თოოსნობის ნიჭი და უნარი. თვითეული დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას და დღეც სრული წესრიგით ჩაატარეს.

საღამოს კვლავ ხაზზე მოეწყვნენ. პიონერულ რაზმებში ალისფერი ყელსახვევებით ჩადგნენ ბანაკის მუშა-მოსამსახურენი, რომლებმაც იმ დღეს ხელმძღვანელებად გამოყოფილ ბავშვთა მაგივრად რაზმები შეავსეს. უსაზღვრო იყო ბავშვთა მხიარულება.

— შეხედე, ძია რუბენს, როგორ უხდება პიონერული ყელსახვევი, — ჩურჩულებდნენ ბავშვები.

პატაკის დამთავრების შემდეგ ბავშვებმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი შეასრულეს. ისევ დაბლა ჩამოცურდა ალამი.

— საძინებელი ოთახებისაკენ! — გაისმა ბრძანება.

დადამდა. ბორჯომის ხეობიდან წამოსული ნისლი ტაშისკარის მიდამოებს ეფინება. მთების მწვერვალები ისევ განათებულია. სძინავს ბანაკს, ისვენებენ ბავშვები, რომ ხვალ ახალი ენერგიით შეუდგნენ საქმეს: მოაწყონ ექსკურსიები, შეისწავლონ ისტორიული ადგილები, შეაგროვონ საკურნალო მცენარეები და გარეული ხილი, შრომითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს.

სძინავთ ბავშვებს. მათ ძილს დარაჯად დადგომია მთელი ჩვენი ქვეყანა, წითელი არმია, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების მაგალითისამებრ, ჩვენს ქვეყანაში ყაჩაღურად შეპარული მტერს ხერხემალს ამტვრევს, მის ბუნაგს ჩასვენებას აიძულებს. სძინავს ბანაკს და მის მწვიდ ძილს, ისევე, როგორც მთელს ჩვენს ქვეყანას, აჯობს დიდი ალალინი.

ᲛᲘᲠᲪᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲡᲔᲜᲔᲑᲐ Ш. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, „ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ)

გუშინ მსახიობის მოსკოვის სახლის ნაციონალური თეატრის კაბინეტში შესდგა ლიტერატურული კრიტიკოსის ა. ფევრალსკის მოსსენება შალვა დადიანის შემოქმედების შესახებ. ფევრალსკიმ აღნიშნა დადიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა, გააცნო დამსწრეთ მისი ბიოგრაფია და ლიტერატურული შემოქმედება რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ პერიოდებში, თავის დრამატურგიაში, — სოქვა ფევრალსკიმ, — დადიანმა ჩაქსოვა ქართული კულტურის, კლასიკური, რუსული და დასავლეთ ევროპული ლიტერატურის, თავისი ხალხის ყოფა-ცხოვრების ცოდნა. ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა და თეატრის მუშაკებმა მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს.

ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

6 წელია ცაგერში არსებობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელმაც დიდძალი მასალა დააგროვა.

გასული წლის ოქტომბერში მუზეუმში გაიხსნა მუდმივი გამოფენა. წარმოდგენილია საინტერესო ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ლეჩხუმის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ბუნებისმეტყველების ვანყოფილებაში ყურადღებას იპყრობს სამკურნალო მცენარეების, მინერალების, ფერადი ლითონების ნიმუშები, ბრინჯაოს ზოდები. ეს მასალები შეაგროვეს მუზეუმის მიერ მოწყობილმა ექსპედიციებმა.

არქეოლოგიურ განყოფილებაში გამოფენილია მოსახლეობის მიერ ნაპოვნი ბრინჯაოს სამაარი და სამეურნეო იარაღები, რომლებიც პროფესორმა კუფტინმა ძველი წელთაღრიცხვის 15-13 საუკუნეებს მიაკუთვნა. ცაგერის მუზეუმში ინახება ძველი ქართული ოქროს ფული.

მრავალი უძველესი ხელნაწერი, სიგელ-გუჯარი, პირველნაბეჭდი წიგნები დაგროვებულია მუზეუმში.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტური მშენებლობის ამსახავ ექსპონატებს (საკოლმეურნეო, კულტურული მშენებლობა და სხვ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საამაულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა. იგი შესდგება 6 განყოფილებისაგან. გამოფენილია ფოტო და ფერწერითი სურათები, დიაგრამები, დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სამამულო ომის პირველი ორი წლის ამბებს. ამჟამად სწარმოებს გამოფენის შევსება სამამულო ომის ახალი მასალებით.

ᲡᲝᲠᲩ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

დასრულდა კონსერვატორიის და მუსიკალური სასწავლებლების მოსწრე შემსრულებელთა საკავშირო დათვალიერების მეორე ტური. მესამე ტურში მონაწილეობის ნებადაერთვა მოსკოვს გაიგზავნება 23 შემსრულებელი. მათ შორის 11 პიანისტი: ქუთაისიანი მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე ლ. ფხაკაძე (პედაგოგი ჯიქია), მუსიკალური ათწლედის მოსწავლეები — მ. ნანეიშვილი (პედაგოგი ვაბუნია), რ. ხოდავა (პედაგოგი შიუკაშვილი), ნ. გოგიჩაიშვილი (პედაგოგი ჩხარტიშვილი), ლ. ვლასენკო, ნ. ყავრიშვილი (პროფესორი ვირსალაძე), თ. ამირაჯიბი (პროფესორი თულაშვილი), კონსერვატორიის სტუდენტები — ბ. იუშანცევი (პროფესორ კუფტინის კლასი) და ნ. ჩიქოვანი (პროფესორ ვირსალაძის კლასი), კონსერვატორიის ასპირანტები — მ. ნათიშვილი (პროფესორ კუფტინის კლასი) და ე. ექსანიშვილი (პროფესორ თულაშვილის კლასი); მუსიკალური ათწლედის ვიოლინისტები — გ. ოქროპირიძე (დოცენტ შიუკაშვილის კლასი), მ. იაშვილი (დოცენტ იაშვილის კლასი), კონსერვატორიის ალისტები ა. ბეგალიშვილი (დოცენტ იაშვილის კლასი) და ვიოლონჩელისტი ს. ცინცაძე (ბარნაბიშვილის კლასი); მომღერლები — გ. მიქავა (მუსიკალური ათწლედი, პროფესორ შულგინას კლასი), ს. ყურბანიანი (I მუსიკალური სასწავლებელი, საფანოვას კლასი), ა. ტიტანიანი (მე-3 მუსიკალური სასწავლებელი, რიადნოვას კლასი) და კონსერვატორიის სტუდენტები — ლ. გოცირიძე, ს. ნიგორსკაია და ნ. მიქელაძე (პროფესორ შულგინას კლასი), ლ. ორაქელოვი და თ. ფანიაშვილი (დოცენტ ხმალაძის კლასი).

მესამე ტურისათვის შერჩეულთა გარდა საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 53 მოსწავლე დაჯილდოებულია დიპლომებით.

ᲛᲐᲦᲐᲚᲡᲐᲛᲗᲝ ᲔᲥᲡᲙᲐᲕᲔᲓᲘᲪᲘᲐ

მესამე წელიწადია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია აწყობს მაღალსამთო ექსპედიციებს ალაგიოზზე (სომხეთის სსრ) კოსმიური სხივების შემადგენლობის შესწავლის მიზნით. ამ სამუშაოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ატომის ბირთვის ფიზიკის მნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრისათვის.

ყველა ექსპედიციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორიის მუშაკები. წელს ექსპედიციაში გაემგზავრნენ ამბ. ი. კვარცხავა და გ. მირიანაშვილი.

ახლადელი მაღალსამთო ექსპედიციის მუშაობას ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ალიხანიანი.

Ი. Ი. ᲑᲠᲝᲦᲡᲙᲘ

5 ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ი. ი. ბროდსკი (1884-1939) ვამონიელი საბჭოთა მხატვარი იყო. მისი სამხატვრო მოღვაწეობა დაიწყო რევოლუციამდე. საშუალო ვრო განათლება მან მიიღო ოდესის სამხატვრო სკოლაში და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

ი. ი. ბროდსკის აკადემიაში ასწავლიდა რეპინი, რეალისტური მხატვრობის დიდმა ოსტატმა უდიდესი გავლენა მოახდინა მასზე. საგულისხმოა, რომ ბროდსკიმ აგრეთვე განიცადა მეორე გამოჩენილი რუსი რეალისტი მხატვრის სეროვის გავლენა.

საზოგადოებრივობის ყურადღება ი. ბროდსკიმ თავიდანვე მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა და რუსეთში ძრავალი გამოფენის მონაწილემ. მისი სურათები წარმოდგენილი იყო და წარმატებით სარგებლობდა აგრეთვე მსოფლიო გამოფენებზე რომში, ვენეციაში, ლონდონში. განსაკუთრებით ფართოდ გაშალფრთა მისმა ნიჭმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ი. ბროდსკი ფართოდ დაეწაფა ახალ თემებს. ახალმა სოციალისტურმა სინამდვილემ მდიდარი მასალა მისცა მხატვარს. ბროდსკი მხატვრული ყალიბით გამოხატავდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ თითქმის ყველა დიდ სიზოგადოებრივ მოვლენას. მას ეკუთვნის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, მათ შორის ისტორიულად შესრულებული პორტრეტები ჩვენი ბელადებისა.

განსაკუთრებით დიდ ღირებულებას წარმოადგენს მხატვრის ორი ნაწარმოები: „კომინტერნის მე-2 კონგრესის საზეიმო გახსნა“ და „ბაქოს 26 კომისრის დახვრეტა“. დიდ მხატვრულ ინტერესს იწვევს აგრეთვე კონგრესის მონაწილეთა ჩანახატები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო მთლიან სურათს. ბროდსკის სურათები, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი სურათი ძრავალჯერ აბის გამოცემული დიდი ტირაჟებით.

საბჭოთა პორტრეტის ჩამოჩენილი ოსტატის, პოპულარული მხატვრის ი. ბროდსკის დამსახურება ღირსეულად იქნა დაფასებული. 1932 წელს მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1934 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. დიდ შემოქმედებითს მუშაობას ბროდსკი ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. 1934 წლიდან სიკვდილამდე იგი იყო სრულიად-რუსეთის სამხატვრო აკადემიის უცვლელი ხელმძღვანელი და პოპულარული პროფესორი, რომელმაც არა ერთი ნიჭიერი მხატვარი აღუზარდა სოციალისტურ სამშობლოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲪᲮᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იწვევს მე-3 მორიგ პლენუმს, 1944 წლის 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე „კომუნისტის“ კომბინატის კლუბში (ლენინის ქუჩა, 28).

პლენუმი განიხილავს შემდეგ საკითხებს: რესპუბლიკური კომიტეტის ანგარიში; 1943 წ. სოცდაზოგვის ბიუჯეტის შესრულება და 1944 წ. ბიუჯეტის დამტკიცება; 1943 წ. პროფბიუჯეტის შესრულება და 1944 წ. ბიუჯეტის დამტკიცება.

პლენუმზე მოწვეულია ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის აქტივი.

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

14 აგვისტოს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. სემინარს უხელმძღვანელებენ ამბ. **ᲮᲘᲛᲝᲜᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ** (ქართულ ენაზე) და **ᲐᲡᲝᲗᲘᲐᲜᲘ** (რუსულ ენაზე).

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

აცხადებს მიღებას 1944-45 სასწავლო წლისათვის.

სამშენებლო ტექნიკუმში ორი სექტორია— ქართული და რუსული.

სამშენებლო ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგი სპეციალობით: 1. სამოქალაქო-სამშენებლო ნაგებობათა; 2. არქიტექტურული, 3. წყალსადენ-კანალიზაცია და ნავთსადენი, 4. ჰიდროტექნიკური მშენებლობა.

სამშენებლო ტექნიკუმში მიიღებიან სსრკ ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 25 წლის ასაკამდე. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: I კურსზე 1943-44 წლების საშუალო სკოლის 7-8 კლასის ფრიადოსნები; დანარჩენნი მიიღებიან გამოცდების ჩაბარებით, შემდეგ საგნებში: დედა-ენაში, მათემატიკაში და სსრკ კონსტიტუციაში. 9-კლასდამთავრებულნი ჩაირიცხებიან ძე-2 კურსზე და ვალდებული იქნებიან პირველი სემესტრის განმავლობაში ჩააბარონ პირველი კურსის საგნები, რომლებიც საშუალო სკოლაში არ შეუსწავლიათ. 10-კლასდამთავრებულნი ჩაირიცხებიან განსაკუთრებულ ჯგუფში ორი წლის სწავლის ვადით.

შენიშვნა: არქიტექტურულ სპეციალობაზე შესვლის მსურველნი აბარებენ დამატებით გამოცდას ხატვაში. გამოცდები იწარმოებს ა. წ. 21-დან 25 სექტემბრამდე. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე 20 სექტემბრამდე და თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. ავტობიოგრაფია, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. სამი ფოტოსურათი შემსვლელის ხელმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების მიერ შემოწმებული, 6. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (მხოლოდ სამხედრო ვალდებულთათვის), 16 წლის ასაკგადაცილებულებმა პასპორტი უნდა წარმოადგინონ პირადად გამოცხადების დროს. მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სტიპენდია ენიშნება წარმატების მქონე ყველა სტუდენტს შემდეგი რაოდენობით: 125-დან 250 მანეთამ